წლიწადი მეორე ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 17 მაისი 1916 წ. № 109

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ტექსტის წინ 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ბარნა, რაფაელი და რაჟდენი გამსახურდიები უგულითადესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, გარდაცვალებას ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ძვირფასი მამისა

გიორგი ტოტის ძე გამსახურდიასი,

რომლის დაკრძალვა დანიშნულია ოთხშაბათს 18 მაისს ს. ნოსირში.
(2—186—1)

კვირას, 22 მაისს, ქართ. კულტ. მოყვარ. საზოგადოების თაოსნობით პატივსაცემლად განმეორდება

შიო მღვიმელის

საბავშვო დილა

იმავე პროგრამით, როგორითაც გაიმართა 14 თებერვალს სახაზინო თეატრში
ბილეთები იყიდება სახალხო სახლის კასაში.
(100) ფასები ჩვეულებრივია.

ხარფუხის საზოგადო კლუბი

მიხაილოვის პროსპექტი № 131.
საზაფხულო შენობა

სამშაბათს, 17 მაისს სამხედრო ორკესტრი

სტუმრები საზოგადო წესით.
დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.
1—102—2

სახალხო სახლი

ს მშაბათს 17 მაისს ქართ. დრამ. დასის მსახიობთა ამხანაგობის მიერ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ურიელ აკოსტა

ტრაღ. 5 მოქ. გუცკოვისა, თარგმ. ი. ბაქრაძისა
მონაწილეობას მიიღებენ: დავითაშვილი ნ., ბექანიშვილი ს., ვლ. ალ.-მესხიშვილი, გუნია ვალ., გომელაური ზაქ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ალ., ზარდალიშვილი ი., მამფორია ილ., კორიშელი პ., გვარამე ნ., ვარვარიძე, ვ.
წარმოდგენის დასაწყისი საღ. $8^1/_2$ ს. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
ადგილების ფასი 30 კ.-დან 2 მ. 40კ.-მდე. (3-97-3)

მსურველთ შეუძლიანთ

დაიკვეთონ (გაზეთ საქართველოს რედაქციაში) მ. ჭიაურელის

ქანდაკებანი (ალიბასტრისა)

თამარ მეფისა და ვასო აბაშიძისა
რომელნიც „საქართველოს“ დამატებაში დაიბეჭდა.
3—95—3 ფასი თითო ქანდაკებისა 15 მანეთი.

შეშის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
[illegible]

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

ა. დ. შაჰაბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

სტუდენტები

ამზადებენ მსურველთ სასულიერო სასწავლებლის და სემინარიისაათვის.
წყნეთის ქუჩა № 15. იკითხეთ პარიკმახერთან. (14—174—3)

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

დ. ზესტაფონში

ექიმი

დ. კ. მაჭავარიანი

5 მაისიდან მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
ტელეფონი, 17—21.

გამოვიდა გაზ. „საქართველოს“ პრემია

მერანი

წიგნი I.

გაზ. „საქართველოს“ თბილისის წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ მიიღონ რედაქციაში, მოსკოვის ქუჩა № 4. პროვინციის წლიურ ხელის მომწერთ პრემია გაეგზავნებათ ხარჯის ფასდადებით.
ცალკე გასასყიდად „მერანი“ ღირს 2 მანეთი.

კრებულში მოთავსებულია:

1. სანდრო შანშიაშვილი—სალამური.
2. ი. გრიშაშვილი—რა კარგი ხარ...
3. კ. მაყაშვილი—სიკვდილ სიცოცხლის ცეკვა.
4. ინ-ბანი—ცხოვრების მგზავრი. წაგართვი მზეო. გრძნეული ჩანგი. მზიელა.
5. ს. შანშიაშვილი—ბერდო ზმანია.
6. შიო მღვიმელი—მუდამ სევდიანს.
7. ვ. რუხაძე—ამონაკვნესი, ვნახე ქალი.
8. გ. ქუჩიშვილი—ღამე ნატეხი, მერცხლები, ღელვა.
9. ლეო ქიაჩელი—მუხა და ტირიფი.
10. დ. კასრაძე—ღვირღვა.
11. ალ. ყაზბეგი—დარო.
12. ტრ. რამიშვილი—ჭკუა მხიარული.
13. დიმიტრი არაყიშვილი—თავისუფალი მარში (ნოტებზე).

წიგნი დასურათებულია მხატვარ ვალიკო სიდამონ-ერისთავის მიერ.
წიგნში ჩართულია 4 სურათი სიპ ქაღალდზე და 16 სურათი ტექსტში.

მოდის მაღაზია

მ. ბაშარულისა

სასახლის ქუჩაზე

იშოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი

მხოლოდ ევროპიული

(—83—)

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

აბასთუმანი

სასტუმრო „მინერალნია ვოდი“

გვაქვს კარგათ მოწყობილი 50 ოთახი და ვაძლევთ სეზონით და დღიურათაც.
სასტუმროს აქვს საუკეთესოდ მოწყობილი რესტორანი. მსურველთ შეუძლიათ დაიქირაონ წერილობით და დეპეშით. ქირა ზომიერია. შედარებით სხვა ადგილებზე, აბასთუმანში იაფია ყველაფერი.
(8-163-5) სასტუმროს პატრონნი ჩიკვაიძე და გეგიაძე.

ვაგზლის საავადმყოფოში

(შიხინოკის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)

საავადმყოფოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126— )

საგალანტერიო მაღაზია

ერ. ივ. ჭავჭანიძისა და

ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი: ჩულქეულობა, კოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

ქ. ბაქოში

ღვინით ვაჭრობა

„მელაანი“

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

## ომის ამბები

### ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

**პეტროგრადი.** 14 მაისი. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** კუნძულ დალენის სამხრეთ მიდამოებში გერმანელებმა ყუმბარისა და ნაღმის მფრქვეველები აამოქმედეს. აქვე გერმანელებმა არტილერია აამუშავეს და რუსების თხრილებს დაუშინეს. ამის შემდეგ გერმანელებმა ისარგებლეს ბურუსით და იერიშები დაიწყეს, მაგრამ რუსთა ცეცხლით შეჩერებულ იქმნენ. სხვა ადგილებში საარტილერიო და და ჩვეულებრივი თოფის სროლაა.

**კავკასიის ასპარეზი.** მოსულის მიმართულებით, ოსმალებმა ქურთების დახმარებით იერიში მიიტანეს სერდეშტზე. ხიშტებისა და ცხენოსანთა კონტრ-იერიშების წყალობით, ოსმალები უკუ აგდეს.

**პეტროგრადი,** 15 მაისი. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** 14 მაისს, გერმანელებმა სასტიკი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ დრისვიატის ტბის სამხრეთ მიდამოებში, რუსების თხრილებზე იერიში მიიტანეს, მაგრამ საარ[illegible] აგდეს. სხვა ადგილებში ყველგან სროლაა. ბევრ ადგილებში მფრინავებიც გამოჩნდნენ. რუსებმა ერთი ჰაეროპლანი დაუზიანეს მტერს და ილუქსტის მიდამოებში ჩამოუშვა.

**შავი ზღვა.** რუსის წყალქვეშამ ანატოლიის ნაპირებთან ოსმალთა იალქნიანი გემი ჩასძირა.

**კავკასიის ასპარეზი.** ოსმალთა იერიშები რევანდუზ-დერგაპის მხრივ რუსებმა მოიგერიეს.

—

**პარიზი,** 13 მაისი. საღამოს ოფიციალი. მაასის მარცხენა ნაპირზე, ავოკურის და „304“ მაღლობის შუა არტილერია მხნედ მოქმედობს. მდინარის მარჯვენა ნაპირზე მტერმა იერიში მოიტანა ჩვენს თხრილებზე და მოუახლოვდა დუომონის ფორტს, მაგრამ უკუ ვაქციეთ. ჩვენმა არტილერიამ გაანადგურა შოფურის ტყისკენ გერმანელების მიმავალი ჯარი.

**პარიზი,** 14 მაისი. დღის ოფიციალი. მაასის მარცხენა ნაპირზე, საღამოთი იერიში მივიტანეთ სოფ. კიუმერზე და მის აღმოსავლეთით თხრილებზე. სასტიკი ბრძოლის შემდეგ, ჩვენ დავიპყრეთ სოფლის აღმოსავლეთი ნაწილი და ჩრდილო დასავლეთი „304“ სიმაღლის აღმოსავლეთით, ფრანგებმა წინ წაიწიეს. ვერდენის ჩრდილოეთით ღამის განმავლობაში საარტილერიო ბრძოლაა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სიმშვიდეა.

**პარიზი,** 14 მაისი. ოფიციალი საღამოს ცნობა. სომის სამხრეთით ჩვენი არტილერია მკაცრად უშენს მტრის თხრილებს. შამპანშიც სროლაა. ნავარენის გზის დასავლეთით გერმანელები ჩვენ თხრილებში შემოიჭრნენ, მაგრამ კონტრ-იერიშით უკუ ვაგდეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე ავოკურის ტყესთან და „304“ მაღლობთან საარტილერიო ბრძოლაა. ფრანგებმა 100 ტყვე წაიყვანეს და ორი ტყვის მტყორცნელი ხელთ იგდეს.

**პარიზი,** 15 მაისი. ოფიციალი. არგონებში „285“ სიმაღლესთან და ოტშევოსესთან წინ წავიწიეთ. მორტჰომის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლაა. ელზასში მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

**რომი,** 12 მაისი. იტალიის ცნობა. სტელვიოდან გარდამდე საარტილერიო ბრძოლაა, განსაკუთრებით ჩივიალეს და ტონალეს მიდამოებში. ლაგორინის ველებში, 11 მაისს ღამით, კონიცუნის იერიშების შემდეგ, მტერმა ორი იერიში მოიტანა სერრა-ვალეის და კოლდიბუოლეს მიმართულებით. 11 მაისს, დილით, მტერი იერიშით წამოვიდა კოლდიბუოლოზე მაგრამ უკან დავახევინეთ. 11 მაისს საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა. 10 მაისს ვალარსის და პოზინის შუა, საარტილერიო ბრძოლის შემდეგ მტერი წამოვიდა პორებიოს სანგრებზე. პოზინოს და ასტიკოს შუა, მოპირდაპირემ არტილერია აამუშავა მონტე[illegible] მალე ჩავაჩუმეთ. ასიაგოს უბანში და სუგანის ველებში მდგომარეობა უცვლელია, ასპარეზის დანარჩენ ადგილებში—საარტილერიო ბრძოლაა. სონ მიკელეს მთის უკან სასურსათო საწყობი ავაფეთქეთ.

**რომი,** 13 მაისი. იტალიის ცნობა. ლაგარინის ველებში ადიჯეს და ვალარსის ხაზ შუა მტერმა სასტიკი იერიში მოიტანა. საარტილერიო მზადების შემდეგ მოპირდაპირე ჯგუფებად წამოვიდა კონიცუნია-კოლდებუალეზე, მაგრამ ჩვენმა ცეცხლმა შეაჩერა ვალარსის და პოზინის შუა მდგომარეობა უცვლელია. ასიაგოს სექტორში, ვალდასის აღმოსავლეთით იერიშები მოიტანეს. ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა. განის ველებში, 11 მაისს ღამით მოპირდაპირე იერიშით წამოვიდა მონტე-ჩივარონისკენ, მაგრამ ზარალით უკან დაიხია. დანარჩენ ადგილებში ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლაა. ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს ტოკრის და არსოს ველთა შუა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### კავკასიის ასპარეზი.

**ვ. მიხაილოვსკი** სწერს: კავკასიის ასპარეზზე მალე ბრძოლა დაიწყება, რომელზედაც ოსმალეთის ბედ-იღბალია დამოკიდებული. ოსმალები ახალ ძალებს ჰგზავნიან ასპარეზზე და ენერგიულადაც ჰმოქმედობენ. განსაკუთრებული გაძლიერება დაეტყო ოსმალეთის მესამე არმიას, ვაჰიბ-ფაშის ხელმძღვანელობით, რომელიც პონტოსის მწვერვალიდან მდ. ტიგროსამდე მოქმედობს. მისი რაოდენობა აღწევს 16—20 დივიზიას ანუ 200—250 ათას მეომარს. თუ მხედველობაში მაშველ ჯარსაც მივიღებთ, რომელიც 7—14 დივიზიით განისაზღვრება, დავინახავთ, რომ ოსმალეთის ჯარის მთავარ-სარდალი ენვერ-ფაშა რუსების წინააღმდეგ 34 დივიზიას ამოქმედებს. ე. ი. 450 ათას კაცს. თუ ენვერ-ფაშამ წადილი შეასრულა, ოსმალეთი იძულებული გახდება მცირე აზიის სანაპიროებიდან და სირიიდან ჯარები გადაიყვანოს; მაშინ მესოპოტამიაში მხოლოდ ორი

კორპუსით დაკმაყოფილდება. რაც შეეხება ვაჰიბ-ფაშას არმიას, მისი უმთავრესი ძალები განაწილებულია ერძინჯანის და ხარფუთის მიმართულებით. ამავე დროს ოსმალების ბურჯად ბაიბურთის მიდამოები უნდა ჩაითვალოს, სადაც ხალილ-ბეი 3 დივიზიით (40,000 კაცი) მოქმედობს. თვით ოსმალეთის არმიის მარჯვენა წვერი დაფუძნებულია ტიგროსზედ და 3 დივიზიისაგან შესდგება. მარჯვენა წვერს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც შემაერთებელი ხაზი ჰალილ-ფაშასთან მიჰყავს და ენვერ-ფაშის მიერ გამაგრებულ სივასის საქმეც ხომ უზრუნველ ყოფილია. სამაგიეროდ მეტად საგრძნობელია მარცხენა პირის მოქმედება ბაიბურთთან, რადგანაც აქედან გადის სივასისკენ დასახევი გზები. ამისთვისაა რომ ამ ჯგუფს ხელმძღვანელობს გონიერი და ნიჭით აღჭურვილი ახალგაზდა ოსმალო ღენერალი, რომელიც ბაიბურთს წარბშეუხრელად იცავს.

**მესოპოტამია.**

უკანასკნელ კვირა ნახევრის განმავლობაში ქოროხიდამ ეფრატამდე სრული სიწყნარეა. მესოპოტამიაში რუსებმა ოდნავ წაიწიეს მოსულის მიმართულებით და სპარსეთ-ოსმალეთის საზღვარზე ორი დაბა (ბანა და სერდეშტი) დაიჭირეს. ჰანეკენთან ბარათოვის მოქმედების შესახებ ცნობა არ მოსულა. ტიგროსის მარცხენა ნაპირზე ოსმალებს ისევ უჭერიათ სანაიათის ძლიერი სიმაგრე, რომელსაც ინგლისელებმა ძალღონე შეალიეს. რაც შეეხება ოსმალების უკან დახევას ტიგროსის მარჯვენა მხარეზე—ეს დამარცხების შედეგი არ არის. ჰალილ-ფაშამ დაიხია იმ მიზნით რომ ბაღდადის გზა უზრუნველ ჰყოს. მას განზრახვა აქვს ბაღდადთან მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭიროს.

**ბალკანეთის ასპარეზი**

ბუქარესტიდან იტყობინებიან: სოფიიდან მოსული ცნობით ვგებულობთ, რომ ბულგარეთის მთავარმა შტაბმა სთხოვა ავსტრია-გერმანეთს სოლუნის ასპარეზით დაეტოვათ თავიანთი ჯარი, რადგანაც მოკავშირენი ახლომომავალში ამ ასპარეზით ამოქმედდებიან.

სერბეთის წინააღმდეგ სულ ავსტრია-გერმანელთა რვა დივიზია მოქმედებდა, დღეს კი აქ მხოლოდ ერთი დივიზია დარჩა გენ. გალიცის სარდლობის ქვეშ.

ვარნა-რუშჩუკის მიდამოებში გერ- [illegible] ავსტრიის საარტილერიო პოლკი.

სოლუნის ასპარეზით ჯარს სარდლობს მაკენზენი და სხვა გერმანელი გენერლები, ისე რომ ბალკანეთის ბრძოლის პასუხისმგებლათ ავსტრიელ-გერმანელთა სარდლები გამოვლენ.

ვარდარის ორთავე ნაპირზე საარტილერიო ბრძოლა უკვე დაიწყო. შესაძლებელია ბრძოლის ცეცხლი გადიდდეს და სხვა ადგილებშიც ამოქმედდნენ მოპირდაპირენი.

**ავსტრო-უნგრელთა მოქმედება ტრიენტის მიდამოებში.**

კოპენჰაგენიდან გვატყობინებენ: ავსტრო-ჰუნგრელთა ცნობის მიხედვით ტიროლში ავსტრიის ორმა არმიამ შეუტია. ერთ არმიის სარდლათ თვით ერცჰერცოგია, რომელიც კოლსანტოდან არსიეროსაკენ იწევს, ეს არმია ტორნომო-მონტემანჯიოს ხაზს უახლოვდება.

ამ ადგილის იქით კი მათ იტალიელთა მკვიდრი სიმაგრეები დახვდებათ პასუბიოს მიდამოებში. მეორე არმია აღმოსავლეთ ნაწილში იბრძვის და აზიაგო, პლატოლავარონე და არმენტერას შუა იწევს. ავსტრია-ჰუნგრელების შეტევა დღითი დღე რთულდება და მკაცრ ხასიათს იღებს. ესენი სხვა და სხვა სუსტად გამაგრებულ ადგილებს ეცემიან და წინ მიიწევენ. მათ ხელი შეუწყო სერბეთის ასპარეზიდან ავსტრო-ჰუნგრელების ჯარის გადმოყვანამ, რომელიც მთლიან ადგილებში ბრძოლას შეჩვეულია. იტალიის და საფრანგეთის პრესა აღნიშნავს-რა ავსტრიელთა წინ სვლას ტრიენტის მიმართულებით, იმედოვნებს, რომ იტალიის ჯარი შესძლებს მათ შეჩერებას.

**რიგის ასპარეზი.**

რიგის ასპარეზზე წინანდებური სიჩუმეა. უამინდობის გამო აღარც მფრინავები მოქმედობენ. მხოლოდ დასავლეთ დვინასთან მცირე საარტილერიო ბრძოლაა. ოლაიკის მიდამოებში ხანგრძლივი სიჩუმეა. კარგა ხანია, რაც გერმანელებს აქ მოქმედება არ გამოუჩენიათ.

**დასავლეთის ასპარეზი.**

თუ რუსეთის ასპარეზზე გერმანელები დრო[illegible] გამოშვებით მოქმედებენ, სამაგიეროდ დასავლეთ ასპარეზზე დიდი ენერგია გამოიჩინეს. ამას ამტკიცებს სამი თვის იერიშები ვერდენთან და ავსტრიელების წაწევა იტალიის ასპარეზზე.

ახლად მიღებულის ცნობით, ავსტრიელებს გადაუწყვეტიათ ალბანეთში და ვალონაში იერიშების მიტანა. ჯარი და სამხედრო სურსათი უკვე გაგზავნილია ფიუმენ-სკუტარში. მათი მოქმედების მიზანი—პოლიტიკურია. ამით მათ სურთ გავლენა მოახდინონ საბერძნეთზე. ვერდენის 30—40 ვერსიანი ბრძოლის ხაზი, 2—5 ვერსამდე შეამცირეს, ჯარის რიცხვმაც იკლო, არტილერია-კი ძველებურად მოქმედებს.

**ფელდმარშალი მოლტკე.**

ფელდმარშალ მოლტკეს უთქვამს: აღმოსავლეთის ასპარეზი ისე გაამაგრეს გერმანელებმა, რომ არავითარი შიში არ მოელით. იტალიის ასპარეზზედაც საქმე კარგად მიდის და ავსტრიელთა ჯარი „ფოლადის კედლადაა“ აღმართული, რის გარღვევაც იტალიელებს არას გზით არ შეუძლიანთ. საშიშოა მხოლოდ იტალიელების მოქმედება ვალონაში, სამაგიეროდ დურაცო ავსტრიელებმა დაიჭირეს და ვალონის დაჭერა ადრიატიულ ზღვის დაკარგვას არ მოასწავებს.

# ბრძოლის ველზე

**კავკასიის ასპარეზზე**

მოქმედება კავკასიის ასპარეზზე თანდა თანობით ვითარდება. ოსმალთა ჯარების რაოდენობაზე დაახლოვებით ცნობები თუ არა, მაინცა და მაინც საკმაოდ მოდის. ასე მაგალითად, „Journal“-ის ანგარიშით ჭოროხისა და ბაიბურთის მიმართულებით ხალილ ბეის განკარგულებაში ყოფილა უკანასკნელი 40 ათასი კაცი. ამ ფრონტისათვის ეს ძალა, თქმა არ უნდა, საგრძნობელს არ წარმოადგენს და „ჟურნალის“ ცნობა არ იყოს საეჭვოდ უნდა მივიღოთ. რაც უნდა იყოს აშკალა-ბაიბურთი ხომ ეს ის ადგილი და მიმართულებაა, რომლითაც ოსმალთა ძალებმა აგერ თვე ნახევარია ოფიციალად შეაჩერეს რუსთა წინსვლა და ინიციატივაც იგდეს ხელთ საიერიშოთ. აშკალის მიმართულებით, მაგალითად, ხალილ ბეის არმია არა ერთხელ შეეცადა რუსთა მხედრობის ცენტრის გარღვევას და აზრუმის დაბრუნებას. დღესაც იგივე ხალილ ბეი ამ აზრს ელოლიავება შორიდან და გაფთრებული იერიშები მოაქვთ, რო- [illegible] გა ხანია აღარ გამოუაშკარავებია. ყველა ეს ჰმოწმობს, რომ ოსმალთ არა თუ 40 ათასი, არამედ გაცილებით მეტი უნდა ჰყავდეთ და ისიც კარგა შეიარაღებული.

მეორე მიმართულება, რომელსაც იგივე ფრანგული გაზეთი ასახელებს, გახლავთ ხარფუთისა. აქაო გვეუბნება გაზეთი, ოსმალთა ძალა დაახლოვებით ათ დივიზიამდე იქნებაო. ეს ძალა, რაიც თუნდაც პირწმიდად მივიღოთ, არ აღემატება 150 ათას კაცს. ესეც საეჭვო რიცხვია. რაც უნდა იყოს, ცენტრი სიმძიმისა, რამაც უნდა კავკასიის ასპარეზის საკითხი გადასჭრას, ამ ორს მიმართულებასა აქვს. ორთავეს დასაწყისი, როგორც ვიცით ერზინჯან-მამახათუნია. ამ მიმართულებით ოსმალნი ივლტოდნენ აზრუმის დაცემის შემდეგ, აქ შეჩერდნენ და მას აქეთ ფეხიც არ მოუცვლიათ მაშველ ჯარების მოლოდინში.

ტრაპიზონის მიმართულებით გარკვეული არა თქმულა რა. ყოველ შემთხვევაში აქ სამ დივიზიამდე იქნება. მუშის რაიონში, რაკილა ადგილ მდებარეობა მთიანია, დიდს ლაშქარს მოძრაობა უჭირს. აქ ოსმალთ სამხედრო ავტორიტეტების სიტყვით 25 ათასამდე კაცი იბრძვის. ამ მიმართულებით ოსმალებმა მოქმედება გააცხოველეს იმის შემდგომ, რაც რუსებმა აიღეს ქ. რევენდუზა.

მესოპოტამიაში, ბაღდადის მიმართულებით, მოქმედებს ხალილ ფაშას არმია, სულ 60 ათასი კაცი, რომელიც ერთსა და იმავე დროს პასუხს აძლევს გენერალ ბარათოვის ჯარებს ხნიკინის მიმართულებით და მოსულისაკენ, ინგლისელთა წინააღმდეგ. ამ მხრის მთავარსარდლად ითვლება სპარსელი ნიზამ-ეს-სალთანე, რომლის თანაშემწე გერმანელი ბოპპი ფაქტიური ხელმძღვანელია მთელი ამ მხრის ოპერაციებისა.

ასეა თუ ისე ნაანგარიშევიდან მინიმუმებიც რომ ავიღოთ, ოსმალთ საკმაო ძალებისათვის მოუყრიათ თავი. გერმანელები ეხლა არ უგულებელ ჰყოფენ ამ ფრონტს და საკმაო სამხედრო მასალას აწოდებენ. ყველა ამის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ დღემდე ოსმალთა მხრით ისმის იერიშები და რუსები მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვით კმაყოფილდებიან. თავდაცვა კი დიდი ლაშქრობის დროს ბევრი ვერაფერი ხილია და ინიციატივის გადალოცვა მტრის ხელში მეტად საგრძნობელი ამბავია.

X.

## თბილისი, 17 მაისი

**კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკი**

ჩვენი მომავალი სავაჭრო - სამრეწველო ბანკი, რაც დღე გადის, საზოგადოების ყურადღებას უფრო და უფრო იზიდავს. ბანკის აქციებს მრავალი ხალხი ეტანება. ბევრი თავის აუცილებელ საჭირო საცხოვრებელ თანხიდან იღებს საქციო ფულს და ისე შველის ამ ბანკის დაარსების საქმეს. ასეთი ხარბი საზოგადო დაწაფება მომავალი ბანკის აქციებზე ნათლად მოწმობს, რომ ბანკის მნიშვნელობა შეუგნია ფართე საზოგადოებას! აქამდის ეს შეგნება არ არსებობდა. ქართველი მოწინავე საზოგადოება, რომელიც ოცნების სფეროში უფრო დანავარდობდა, ვიდრე სინამდვილეში, ბანკის საჭიროებას არ გრძნობდა. ამ ხანებში ვინღა წარმოიდგენდა, რომ ქართველობას შეეძლებოდა ორი-სამი მილიონი მანეთის შეგროვება დიადი ეროვნული საქმისათვის. დღეს შეიცვალა ქართველი ხალხისა და საზოგადოების ფსიხოლოგია და მთელი ქართველი საზოგადოება ჩაება ნამდვილს ყოველდღიურ ბრძოლაში და მეტოქეობაში. ქართველობა ვაჭრობა-აღებ-მიცემობის წყურვილმა გაიტაცა და ამასთან ერთად ყველასთვის ცხადი შეიქმნა, რომ უბანკოდ, უკრედიტოდ შეუძლებელი იყო ამ ახალი საქმის მკვიდრ ნიადაგზე დამყარება. ამ შეგნებასთან ერთად ფულის შოვნაც ადვილი შეიქმნა და დღეს სრულიად გაუჭირვებლივ ქართველის ჯიბე იძლევა ორ-სამ მილიონ მანეთს ბანკის მოქმედების პირველ დასაწყებად. დიდი სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ქართველთა შეგნების ასეთი თვალსაჩინო ზრდა პრაქტიკულ საქმიანობის შემოღებისა და გაჩაღების შესახებ. დღეს საქართველოში ფული საკმაოდ მოიძებნება, საჭიროა მხოლოდ რომ ყოველმა ქართველმა თავისი ფულის ნაწილი დააბანდოს ისეთ დიდ საქმეში როგორიც არის სხვა და სხვა ტიპის ბანკები, რომელიც დიდად ხელს შეუწყობს ჩვენი ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებას და განმტკიცებას.

# ახალის გზით

ამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, რაც ჩვენში შემოვიდა წესიერი სოციალ-პოლიტიკური დარაზმულობა, მთელი საქართველოს ფარად და ხმლად აღიარებული იქმნა საკაცობრიო, გარდუვალი სამართლიანობის პრინციპები. დაგმობილი იყო ყველაფერი, რაც ამ გარდუვალ სამართლიანობას აღაშფოთებდა. და რა არ აღაშფოთებდა მას? ვაჭრობა და აღებმიცემობა ჩარჩობად გამოცხადდა, ვაჭრები—მეტ ბარგად, რომელიც ხალხთა საბედისწეროდ ჩაჩხირულიყო მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. ამ მეტხორცის მოსაჭრელად ბევრი კალამი გაცვდა.

კერძო საკუთრება პირველ ყოფილ ცოდოდ მონათლა და იდეური „ვეტო“ დაედო ამ საკუთრების ნიადაგზე რაიმე მომგებიანი ეკონომიური საქმიანობის აღმოცენებას.

დაიგმო ერთად-ერთი გზა კერძობრივად ეროვნული სიმდიდრის დაგროვებისა, რა გზითაც უვლია და რა გზითაც დღევანდელ ყოფამდე მიუღწევიათ დაწინაურებულ ქვეყნებს. მსოფლიო სამართლიანობის ქართველი ქურუმნი ვერ ჰგუობენ დღევანდელი წესის მრეწველობას. ცხადი იყო, რომ ამას ისინი ვერც ჩვენში შეიყვარებდენ. ან რა მოსაზრებით უნდა შეეწყოთ ხელი იმ ძალის წარმოშობისათვის, რომელიც „ყვლეფით“, ექსპლოატაციით და მუშათა „სისხლის წოვით“ უნდა გამძღარიყო და გამაგრებულიყო?!

ქართულ სინამდვილეს ქურუმებმა დიაგნოზი დასვეს და მსოფლიოს სასიამოვნოდ ასეთი ბიულეტენი გამოაკრეს: „საქართველოში ეროვნული მრეწველობის გაჩენა ყოვლად შეუძლებელიაო“ და ამგვარ საქმისთვის თავის ატკივება უგნურებად იცნეს.

ბანკი, სხვა და სხვა სააქციონერო საზოგადოება, ბირჟა და სხვა ქურუმებმა აითვალწუნეს, ყველაფერი ეს თანამედროვე და მათგან უარყოფილ წარმოების ატრიბუტებად იქმნა ცნობილი; ყველაფერი ეს დასაგმობი სპეკულიაციისა და აჟიოტაჟის ტაძრად მოინათლა. მოკლედ რომ ვსთქვათ, ჩვენში დევნილი და უარყოფილი შეიქმნა ნივთიერი შემოქმედების ბურჟუაზიული წესი. რამაც სხვაგან ეკონომიური სიმტკიცე და პოლიტიკური სიფხიზლე შექმნა, რაც სხვაგან საძირკვლად დაედო სულიერი კულტურის არაჩვეულებრივ ზრდას, ჩვენმა პრინციპოსნებმა უბედურობის სათავედ გამოაცხადეს. და ამ უბედურობის საშოშივე ჩასაქრობად მრავალი არსენალი ტყვია-წამალი დასწვეს.

პურისტი—პრინციპოსნები ყიდვის პრინციპსა წართმევისა და ექსპროპრიაციის პრინციპს ამჯობინებდენ; გლეხებს მიწის სყიდვას არ ურჩევდენ და არც იმისთვის ზრუნავდენ რომ მათთვის გაეადვილებინათ ჰაერივით საჭირო მიწის შეძენა.

დღევანდელი საქართველოსი არც საგარეო და არც საშინაო პოლიტიკა ეროვნული ინტერესის უპირველესობით არ განიზომებოდა. აქაც გარდუვალი სამართლიანობის კრიტერიუმი იყო მიღებული სახელმძღვანელოდ და მას ეწირებოდა ჩვენი ქვეყნის ცოცხალი ინტერესები

ამ მეტაფიზიკით ერთობოდა მოწინავე საზოგადოება და მისი ამყოლი საქართველოც. იგინი უდარდელნი იყვნენ, ვით უდარდელია მშობლის ხარჯით ჩაცმულ-დახურული და გამაძღარი გულმართალი გიმნაზიელი. ამ ხუთმეტი—ოცი წლის განმავლობაში ერთხელაც ძირს არ დაშვებულან, ცოდვილს ქვეყანაზედ, რომ საკუთარის თვალით ეხილათ, თუ რა ხერხითა და ოსტატობით გაჰქონდათ ბურთი ცხოვრების მოედანზე; ვერ ამჩნევდნენ, რომ მათებური „შეგნების კედელი“ საქართველოს საზღვარს ვერ იცავდა, რომ ქართველობა, მსოფლიო სამართლიანობის მომღერალი, თვისვე ქვეყანაში ცხვირ-პირ დამტვრეული რჩებოდა. ვერ შეიგნეს რომ მათი „ფუტურისტული“ პრინციპების ამყოლი ქვეყანა „პრეზანტიზმის“ იარაღით მარცხდებოდა. ვერ დაინახეს რომ უფრო ძლიერი ის ხალხი იყო და გამარჯვებაცა და ნომავალიც იმას რჩებოდა, ვისაც სქელი ჯიბე ჰქონდა და იარაღად ხელში ბანკები ეჭირა, ვინც აჩაღებდა ვაჭრობას და აღებ-მიცემობას, ვინც ჰქმნიდა ეროვნულ მრეწველობას. საქართველო, სადაც ბატონობდა საკუთრების დარღვევის და უარყოფის იდეოლოგია, სადაც გმობილი და დევნილი იყო ეროვნული ბურჟუაზიის და მრეწველობის შექმნის როგორც იდეა, ისე პრაქტიკაც, და სადაც უარყოფილი იყო ყველა ის ღონისძიება და საშუალება ბრძოლისა, რომელიც ბურჟუაზიულ წესს შეუმუშავებია და ცხოვრების გამოცდილებას ყოვლად სანდოდ და საიმედოდ უცვნია,—აი ეს საქართველო შეეტაკა მეორე ქვეყანას, რომელიც ყველა ამ იარაღით იყო აღჭურვილი, შეეტაკა და დამარცხდა კიდეც. სამართლიანობის მაღალი საზომი და პრინციპები იძლივა და ქვეყნის ცოცხალი ინტერესებიც ამას შეეწირა. ძველი გზა უვარგისი აღმოჩნდა, ქვეყნის საზარალო და დამღუპველი.

ჩვენი მოვალეობაა მოქალაქობრივის უფლებით აღვჭურვოთ ამომავალი ეროვნული ბურჟუაზია. მთელი ჩვენი ძალა და ღონე უნდა მოხმარდეს ბურჟუაზიულ პრინციპისა და კერძო საკუთრების საძირკველზედ ფართე ეკონომიურ საქმიანობის გაჩაღებას. დღეს ბრძოლა სწარმოებს ვაჭრობისა, აღებ-მიცემობისა, მრეწველობისა და სხვათა საშუალებით.

ძველებური პრინციპები არ გამოდგება ამ საშინელი და ულმობელი იარაღის წინააღმდეგ. სხვის ბანკს, ჩვენი საკუთარი უნდა დავუპირისპიროთ, სხვის ვაჭრობა-მრეწველობას—ჩვენი ეროვნული ვაჭრობა და მრეწველობა. ამ საქმიანობას ხელი უნდა შეუწყოთ, დავიცვათ და გამოვექომაგოთ. ქართველმა ხალხმა ახალი ფსიხოლოგია უნდა შეითვისოს, ფსიხოლოგია ზრდისა, მატებისა და შეძენისა! ჩვენ გვირჩევნია, რომ საქართველოში ძლიერი ეროვნული ბურჟუაზია გვყავდეს, მრავალი იყოს ქარხანა და შიგაც მრავალი მუშა ტრიალებდეს და „იყვლიფებოდეს“, ვიდრე კერა ვაჭრობა-მრეწველობისა ჩამქრალი გვქონდეს და ველური ხალხის იდილიური მშვიდობიანობა გვედგას. ეს იდეოლოგია უნდა გავაბატონოთ. ეს საქმე უნდა შევქმნათ. დავგმოთ „ძველი ადათ-წესები“, რომ ამიერიდან ახალის გზით ვიაროთ... გამარჯვებისაკენ.

ს. კედია.

# დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

**სომხეთა ყრილობა დასრულდა. დაადგინეს მთავარი კომიტეტი თბილისში არსებობდეს, რომელიც სომეხთა საქმეებს განაგებს. პეტროგრადელი და ოსმალეთის სომეხთა დელეგატები თხოულობდნენ ეს კომიტეტი პეტროგრადში ყოფილიყო.**

—

**შეერთებულ შტატების პრეზიდენტის თანამდებობაზე რუზველტმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა.**

—

**იმპერატორ ვილჰელმის დავალებით ბიულოვი ვაშინგტონს გაემგზავრა.** ლ. ჯ.

—

(მოსკოვის საკ. კორესპოდენ.)

**სახელმწიფო სათათბიროს სესია ივნისის შუა რიცხვებში დამთავრდება.**

—

**ავსტრია-უნგრეთის მთავარი შტაბი დიდის კვეხნით აცხადებს, შვიდ მაისს ოცდა ათი ათასი იტალიელი ტყვედ წამოვიყვანეთ და თან ასი ზარბაზანიც წამოვიღეთო.**

—

**გერმანეთის იმპერიის კანცლერმა განაცხადა, მხოლოდ ისეთი ზავია შესაძლებელი, რომელიც რეალ ფაქტებზე იქნება დამყარებული, სამხედრო მოქმედებათა იმ რუქის მიხედვით, რომელსაც საზავო მოლაპარაკება მოუსწრობსო.**

—

**რუმინეთი აჩქარებულ სამხედრო სამზადისშია. ამ დღეებში მთლიან საერთო მობილიზაციის გამოცხადებას.**

—

**გერმანელები აწყობენ წყალქვეშა სანაოსნო მიმოსვლას გერმანეთსა და ამერიკას შორის.**

—

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).

რუსეთის ასპარეზზე კუნძულ დალენის სამხრეთით ყუმბარებით ბრძოლაა.

—

დრისვიატებთან გერმანელებმა წინ წაიწიეს, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ.

—

იტალიის ასპარეზზე მკაცრი ბრძოლა გრძელდება კოლდიბუალესთან. პოზინოსა და ასტიკოსთან გერმანელებმა ზარბაზნები ჩაამწკრივეს; ამ ადგილებში იტალიელებმა უკან დაიხიეს.

—

იტალიის ასპარეზზე ავსტრიელთა მფრინავები ამოქმედდნენ.

—

ვერდენის ასპარეზზე ავოკურ-დუომონთან ბრძოლაა.

—

285“ მაღლობთან ფრანგებმა წინ წაიწიეს.

—

გერმანელ-ბულგარელების წინადადებით ბერძნებმა რუპელის სიმაგრე დასტოვეს. ეს სიმაგრე გერმანელებმა დაიჭირეს.

—

ხმელთა შუა ზღვაში იტალიელების გემი „ერკოლე“ წყალქვეშამ ჩასძირა

—

პარიზში 14 მაისს გენერალი გალიენი გარდაიცვალა.

# ფიქრები შორით

მთელი ერთი კვირა გულდასმით ვკითხულობ ქართულ გაზეთებში ერობის საკითხის გარშემო ატეხილ კამათს და სიხარული და გაოცება ერთმანეთს სცვლიან. უსაზღვრო სიხარულით მოსავს ჩემს გულს ის ერთსულოვნება და აზრთა ერთიანობა, რომელიც ყველა მიმართულების წარმომადგენლებს შორის ჩამოვარდა.

როგორც იქმნა შევიგნეთ, რომ მარტო ფანტაზიით ვერ ვიცხოვრებთ და რეალი პოლიტიკის გზაზე გადავედით. ძლივს ვიგრძენით რომ თანხმობით საკითხების პრაქტიკული განხილვით შეიძლება მივაღწიოთ ჩვენს მიზნებს.

ძლივს თავი შეუფარდეთ არსებულ მდგომარეობას და დროს მიხედვით მსვლელობა დავიწყეთ.

სიხარული უსაზღვროა და აღტაცებით უნდა შევხვდეთ ამ მოვლენას.

თქმა არ უნდა, დიდი ნაბიჯი გადავდგით, მთელი ერთი საფეხურით მაღლა ავიწიეთ.

მაკვირვებენ და მაოცებენ ჩვენი მეზობლები! სწორეთ შევცვალეთ ალბათ ტანსაცმელნი, რომ მდგომარეობა ასე შეგვცვლია. განა პატივცემული სომხის მოღვაწენი არ იყვნენ, მარად თავს რომ დაგვცხოდნენ. [illegible] იფუჭებთ საქმეს, [illegible] დროს კარგავთო.

განა სომხების პოლიტიკა მარად რეალური არ იყო, მომავალ მილიონებს დღევანდელ ას მანეთს რომ არჩევდნენ?

რას ვხედავთ დღეს?

პრაქტიკები მეოცნებედ გამხდარან, მეოცნებენი პრაქტიკებად!

ვის არ გააკვირვებს ამას წინეთ „Эхо“-ში მოთავსებული პროვოკაციული ხასიათის მეთაური?

როგორ შეთანხმდა ასე ერთსულოვნათ სომხების პლუტოკრატია და რუსების ლიბერალები?

ან იქნებ ჩვენ გავხდით ისეთი რეტროგრადები, რომ გვაშინებს ყოველი ნოვატორი და დახავსებულ პირობებს ვარჩევთ „დემოკრატიულ პრინციპებზე“ შობილ პროექტებს? მდგომარეობის უცნობს მართლა შეიყვანს ეჭვში ესეთი ერთსულოვნება და მდგომარეობის გამოცვლა? მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რაშიაც არის საქმე?!

რამდენიც უნდა იყვირონ „რეაქციონურ თავად-აზნაურულ ბლოკზე“ სომხების დემოკრატიული პრინციპების თავი, ხომ მაინც სოლოლაკში გამოჩნდება ისე, როგორც „Рѣчь“-ში არ დაიმალება ახუმოვის ინფორმაცია. არსებითად მე „Рѣчь“-ის და რუსული პრესის პოზიცია უფრო მაინტერებს, ვიდრე სომხების ახალი სახე, ან სხვა გვარად რომ ვთქვათ, ცუდი მხატვარისაგან დახატული ნიღაბი, რომელიც მალე იცვნეს და ინტერესიც დაეკარგათ. „Рѣчь“-ის გამოსვლას თუ უცაბედი ხასიათი აქვს და ყველაფერი საქმის უცოდინარობიდან წარმოსდგება ეს მაშინაც არ ეპატიება ასეთ სერიოზულ ორგანოს.

მაგრამ „Рѣчь“-ს უბრალოდ ვერავინ დასძრავს და ბევრიც რომ ეცადოთ ის საქმის განუხილავათ არაფერსაც არ მოათავსებს.

მას სერიოზულათ აქვს აწონილი თავისი გამოსვლა და მას არც თვით მალავს.

ამასვე ამოწმებს მისი მიმართულების სხვა გაზეთების პოზიციაც, როგორც მაგალითად „Русск. Вѣд.“. და ამ შეთანხმებას უკვე მნიშვნელოვანი სახე აქვს და მხოლოდ უბრალო გაუგებრობას არ წარმოადგენს. როგორც „Рѣчь“-მა, ისე სხვა გაზეთებმა შესანიშნავათ იციან საქმის მდგომარეობა და ერთი განსაზღვრული სახით არკვევენ კავკასიის პოლიტიკას. რომ მათ მხოლოდ სომხები აინტერესებენ ისინი თითონაც აღარ მალავენ და მათდამი ლაქუცობას იმ ზომამდი მიჰყავთ, რომ ხშირად გვერდს უხვევენ სწორედ იმ „დემოკრატიულ პრინციპებს“, რომლის მსახურებათაც მოაქვთ თავი.

ყველანი, სომხების გარდა, რასაკვირველია, დარწმუნებული არიან იმაში რომ ლიბერალური ორგანოების „მატერიალისტური“ სული ამ მეგობრობას დიდხანს არ დაიცავს და ბოლოს და ბოლოს მათაც ისე მიუბრუნებენ ზურგს, როგორც დღეს ჩვენ მოგვიბრუნეს.

დღეს კი მათი მეგობრობა უსაზღვროა და სომხებსაც დრო აქვთ იყოყოჩონ, ვიდრე რუსეთი მათგან რამეს გამოელის.

ეს საუკეთესო გაკვეთილია, რომ ჩვენც დროზედ გავახილოთ თვალი და რუსეთის ლიბერალებზე ბრმად დანდობა მოვიშალოთ და შინ ვიზრუნოთ რაც საჭიროა იმაზედ. ჯერ ერთი წელიწადიც არ გასულა რაც პროგრესიულმა ბლოკმა „დაწყნარებული“ დააბრუნა პეტროგრადიდან თბილისის სახელმწიფო საბჭოს ქართველი ამომრჩეველნი. პატივცემულთ მ. ვ. მაჩაბელს თ-დ. დ. ნიჟარაძეს და დ. ჩოლოყაშვილს ხომ ახსოვთ ის დაპირება, რომელიც მათ მისცა პროგრესიულმა ბლოკმა, ნიშნათ მათი „რაინდული მოქცევისა“ (სიტყვები როძიანკოსი).

რით აასრულეს ეს დაპირება? მათი ორგანო ყოველ, სომხებისათვის არა სასურველით გადაწყვეტილ, საკითხს ისეთი წერილებით უმასპინძლდება, როგორიც „Рѣчь“-ის მეთაურია და წარამარა სცდილობენ რუსეთის საზოგადოების თვალში კაცი-ჭამიებათ მოვგნათლონ? მე ერთი მაგალითი მოვიყვანე, რადგან ყველას ხომ ვერ ჩამოვთვლით, რადგან რუსეთის პროგრესიული ნაწილის ჩვენდამი პოლიტიკა ქართველი ერისათვის ნათლათ დასურათებული უნდა იყოს, განა „Рѣчь“-მა და რუსეთის ყველა დემოკრატებმა არ იციან, რომ ერის საზოგადოებრივი აზრის არც ერთ მიმართულებას არას დროს ვიწრო საზოგადოებრივი ტენდენციები რა ჰქონია და თვით ქართველი თავად-აზნაურობა გაცილებით უფრო დემოკრატიული პრინციპებით არის გაჟღენთილი, ვიდრე „Рѣчь“-ის „დემოკრატები“.

განა მათთვის არავის უცნობებია რომ რუსეთის საზოგადოებრივი აზრის წინაშე როგორი ღვაწლი მიუძღვით ქართულ აზნაურულ წოდებიდან გამოსულ მოღვაწეთ. ნუთუ „Рѣчь“-ს და მის დაგვართ დაავიწყდათ ციმბირში აღმართული სასაფლაონი ქართველ აზნაურთა? არა ეს ყველაფერი მათ ახსოვთ, მაგრამ „პოლიტიკამ სიბრალური არ იცის“

და საბრალონი არიან მხოლოდ ისინი ვინც უნაყოფოთ ემსხვერპლენ უმადურთ და კიდევ უფრო საცოდავნი არიან ისინი ვინც ვერც დღეს ხედავენ ამ უაზრობას და მზათ არიან ხვალვე ემსხვერპლონ.

ქართველმა ერმა კი, დროა ფხიზელი თვალებით შეხედოს თავის მდგომარეობას და დარწმუნებული იმაში, რომ რუსეთის ლიბერალების დახმარება მხოლოდ ტკბილ ქათინაურებით განისაზღვრება თავის თავზე თითონ იზრუნოს.

**ლ. ჯაფარიძე**

ქ. პეტროგრადი.

## ლადო დარჩიაშვილი

უდროოდ დაჰკარგა ჩვენმა ობოლმა სამშობლომ ერთი იმ მეთაურთაგანი, რომელიც ახალგაზრდა გამოფხიზლებულ საქართველოს, მშრომელ ხალხს ეროვნულ დროშით წინ მიუძღოდა.

უდროოთ მოსწყდა სიცოცხლეს იმ აზრის მატარებელი, რომელიც ამცნობდა და განამტკიცებდა: „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნოდესო“.

იმ დროს, როდესაც მესამე დასელთა ინტელიგენციამ მთელს ერს თავს მოახვია ზემოდან ნაკარნახევი მოძღვრება საკუთარ თავის უარყოფისა და დაჰგმო ქართველური თავისებურობა, —ლადო დარჩიაშვილმა, მესამე დასელთა რაზმშივე მდგომმა ერთმა პირველთაგანმა აიმაღლა ხმა ასეთ უსამართლობის წინააღმდეგ და შესძახა თავის შემცდარ მეგობრებს:

— ქართველი ერი, სამშობლო და ჩვენი უფლებაო!

ამისთვის ის სასტიკად დაისაჯა მისი ამხანაგებისგან.

კარგად მახსოვს. ერთს ოჯახში ვცხოვრობდით. მესამე დასელთა ორგანოს „ნაპერწკალს“ რედაქტორობდა.

ეს ის უკუღმართი ხანა იყო, როდესაც თითქმის ყოველივე მშობლიური აბუჩად იყო აგდებული და ფეხქვეშ ითელებოდა. ყველაფერი რაღაცას განყენებულს ეწირებოდა. შეგნებული თუ შეუგნებელი გაღიზიანებულის გულით თავის თავს ებრძოდა და მსოფლიო ქვეყნის დახსნას ლამობდა. ვინც უფრო მედგრად გაილაშქრებდა სამშობლოს წინააღმდეგ იგი თავდადებულ რაინდის სახელს იმსახურებდა. „მოდა“ იყო ასეთი.

შინ თუ გარედ, ოჯახში თუ სტუმრად ერთმანეთის შორის გვქონდა ჩხუბი და დავიდარაბა:

მამულის მოტრფიალე და მისი უფლების დამცველი რეაქციონერად და ხულიგანად იყო აღიარებული.

ეს ასე იყო და იმ დროის შავი ლაქა ჯერ კიდევ სავსებით ვერ წაგვიშლია.

ლადომ სადილზე დაიგვიანა. შემდეგ მოვიდა გაფითრებული. ჩუმად იჯდა. მაღლა აიხედავდა და ულვაშზე ხელს გადაისვამდა. ბუნებით მშვიდი და დარბაისელი მოუსვენრად იყო.

ვამჩნევდი, არაჩვეულებრივ სულიერ ღელვას განიცდიდა.

მეორე დღეს გავიგეთ, რომ ესდეკების რედაქციაში „სკანდალი მომხდარიყო. „ანის“ წერილისთვის „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, სადაც ავტორი „ეროვნულ გრძნობას შეურაცხჰყოფდა“, ლადო დარჩიაშვილს შენიშვნა გაეკეთებინა, რომ რედაქცია „ანის“ წერილს ზოგიერთ საკითხში არ ეთანხმებაო! „ანის“ წერილის გამო „ან გაზეთი უნდა შემეჩერებინა და ან ეს შენიშვნა გამეკეთებინაო!“ ამბობდა ლადო.

არ გიკვირთ, მან ეს გაბედა!... პარტიულ დადგენილებას არ დაემორჩილა და... გამოაძევეს!

შემდეგ ამისა იგი საკუთარ ორგანოს „ალიონს“ სცემდა. იქ იგი იყო ქართველი სოციალდემოკრატი, ქართულად მოაზროვნე ქართულ ინტერესებთან შეთანხმებული. მისი ხმა იმ დროს რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. მისი ობოლი ნავი ჩვენს ამღვრეულ ცხოვრების ტალღებში ტანჯვით იკვლევდა გზას.

ხშირათ უთქვამს: ეს რა ხალხი ყოფილა? მკვდრეთით რომ მარქსი აღდგეს, აქ მოვიდეს და მათ ყური დაუგდოს დაიძახებდა: მე მარქსისტი აღარა ვარო!

დიახ! უდროოდ მოსწყდა! უკანასკნელად ვერ ნახა თავის გამოფხიზლებული სამშობლო; უცხომ დაუკრიფა ზულზე ხელები და უცხო მიწამ მიიბარა! უცხო ალაგას, „უცხო ვარსკვლავთა თანამავალთა ამცნო გულისა მან საიდუმლო!“ ჯერ კიდევ არ ეთქვა თავისი უკანასკნელი სიტყვა! ვინ იცის, რაოდენი „ზრახვა და ფიქრი წარიღო თანა“.

საქართველოში სოციალისტური მოძრაობა ნაადრევია და უნიადაგო და თუ მას როდესმე ნიადაგი ექნება, უნდა მიჰმართონ ლადოს „ალიონს“ და ხელთ აიღონ ამხანაგთაგან დაგმობილი ლადოს დროშა!

**სანდრო შანშიაშვილი**

## დეპეშა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

**ქუთაისი.** კვირას, გრაფმა გუდოვიჩმა, ქუთაისის გუბერნატორმა, გახსნა თავად-აზნაურთა მორიგი კრება. კრების თავმჯდომარემ თავადმა დ. ო. ნიჟარაძემ შეკრებილთ მისასალმებელის სიტყვით მიმართა და მოახსენა კრებას საზოგადო საქმეთა მდგომარეობა მას აქეთ, რაც დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მეფის ნაცვლობას ეწევა; აღნიშნა სხვათა შორის, რომ ქუთაისში ჩამოსვლის დროს დიდმა მთავარმა ინახულა სათავად-აზნაურო გიმნაზია. ამ აქტის აღსანიშნავად კრებამ ერთობლივი სურვილი გამოსთქვა, რომ გიმნაზიის დარბაზში დაიდგას ბიუსტი კავკასიის მეფის ნაცვლისა. საამისო ნებართვის გამოსათხოვრად კრებამ გადასწყვიტა საგანგებო დეპუტაცია ახლოს მის იმპერატორებით უმაღლესობას დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს.

## ახალი ამბავი

◆ **მცხეთის საპატრიარქო ტაძარში.** 19 მაისს დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ თ-დის კონსტანტინე ალექსანდრეს ძის მუხრან-ბატონისა, მათ უმაღლესობის განსვენებულ დიდ მთავარ კონსტანტინე კონსტანტინეს ძის, სიძისა. ამ დღისთვის მცხეთას ჩამობრძანდება განსვენებულის ქვრივი დიდი მთავრინა ტატიანა კონსტანტინეს ასული ბაგრატიონ-მუხრან ბატონისა. მწირველია საქართველოს ეგზარხოსი გორის ეპისკოპოსისა და ადგილობრივ ტაძრის კრებულის მონაწილეობით.

◆ **საქართველოს ეგზარხოსმა** ნება დართო გორის სასულიერო სასწავლებლის გამგეს არქ. იოანნეს (მარღიშვილს) მომავალ სასწავლო წლიდან თავის გამგებლობით გახსნას პირველ დაწყებითი სკოლა წერაკიოხვის სრულიად უცოდინარ მოზარდვაჟთათვის.

◆ **ვლ. დარჩიაშვილის პანაშვიდი** 15 მაისს, წირვის შემდეგ, ქვაშვეთის ეკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი გერმანიაში ახლად გარდაცვლილ პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის ვლადიმერ დარჩიაშვილის სულის მოსახსენებლად. მღვდელთ-მოქმედება შესრულა დეკ. ქ. ცინცაძემ. ხალხით სავსე იყო ეკლესია და გალავანი.

◆ **ბ-ნი ოლივერ უარდროპი** ქართულად დასაბეჭდათ ამზადებს ვახტანგ მეფის კანონებს. როგორც ვიცით, ეს კანონები მხოლოდ რუსულათ არის დაბეჭდილი. წიგნი დაიბეჭდება ოქსფორდში (ინგლისში) „საქართველოს“ (პარიზის) ასოებით.

◆ **ჩ. კაპანაძის ლექცია.** საქართველოს ეგზარხოსმა პლატონმა ნება დართო ქრისტეფორე (ჩიტო) კაპანაძეს სხვა და სხვა ქალაქში ლექცია წაიკითხოს შემდეგ თემაზე: „ისტორია საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიისა“. პირველ ლექციას წაიკითხავს 22 მაისს, $12^1/_2$ საათ. ახალ კლუბის დარბაზში. ბილეთები იყიდება „საქართველოს“ რედაქციაში 10—2 საათ.

◆ **ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის დამფუძნებელი კრება** დამთავრდა 15 მაისს, საღამოს 7 საათზე. კრებამ აირჩია: 1) კავშირის გამგეებად: დ. კახელაძე და ევ. დარჩია; 2) ზედამხედველ საბჭოს წევრებად—კ. კანდელაკი, ვ. როხლინი, შ. ქარუმიძე, პ. გელეიშვილი, შ. გოგებაშვილი, ბ-ნი მხჩიანცი და ს. ცხომელიძე; 3) საბჭოს წევრების კანდიდატებად—ა. კორძაია, ი. ლომაძე და ბ-ნი აზატიანი და 4) მოსკოვის კავშირის დიდ ბიუროს კანდიდატებად—კ. კანდელაკი, ვ. როხლინი, ე. დარჩია და პ. გელეიშვილი.

◆ **საჭიროა ფილოქსერის** გამომკვლეველნი (разслѣдователи) ერევანყარსის მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტისათვის. ჯამაგირად 80 მან. მიეცემათ თვეში. მუშაობა 3 თვეს გასტანს. მსურველთ უნდა მიმართონ მთავარ სპეციალისტს გ. პ. გრდზელოვს—ერევანში.

◆ **სასოფლო-სამეურნეო აღწერა.** თბილ. საგუბერნიო სასოფლო სამეურნეო თათბირი, რომელმაც უნდა აღწერილობა მოახდინოს ამიერ კავკასიაში სასოფლო სამეურნეო მიზნით, დაინიშნა 20 მაისისათვის.

**გვირილობა** დღეს წმიდა შემოსავალი ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოებას დარჩენია სულ 8417 მან. 19 კაპ.

◆ **გერმანელთა მიწები.** თბილისის გუბერნიაში სალიკვიდაციოთ სულ 37 მამულია დანიშნული ავსტრიელთა და გერმანელთა ქვეშევრდომთა, ზომით 2026 დესეტინა და 1118 ოთხ-კუთხი საჟენი. ამ რიცხვში 1 მამული, ზომით 15 დესეტინა ავსტრიელ ქვეშევრდომის ჩეხისა, არ გაყიდულა და ომის გათავებამდის გადიდო. 8 მამული ზომით 2 დესეტინა და 80 ოთხ.-კუთხი საჟენი უკვე გაყიდეს პატრონებმა, 14 მამული, ზომით 35 დეს. და 1757 ოთხკუთხი საჟ. გაიყიდა საჯარო ვაჭრობით, დანარჩენი მამულები ამ მოკლე ხანში გაიყიდება. საჯარო ვაჭრობას ბევრი მყიდველი მიაწყდა. საერთოდ ეს მიწები შეფასებული იყო 17,917 მ. 75 კ. გაიყიდა 26,502 მანეთად. ამ ჟამად, თანახმად გენ.-ლ. ვოლსკის სავალდებულო დადგენილებისა, ის ავსტრიის და გერმანიის ყველა ქვეშევრდომი, რომლის მამულიც საგანგებოდ გამოცხადებულ სიაში არ მოჰყვა, მოვალეა განუცხადოს მთავრობას სად და რა ზომით იმყოფება მისი მამული. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს დაჯარიმებულ იქნება 3,000 მანეთით ან 3 თვით ციხით.

◆ **დიდუბის მხატვრობა.** საქართველოს ეგზარხოსმა დაამტკიცა დიდუბის ტაძრის დასახატად შემდგარი კომიტეტი. მთელი მხატვრობა ტაძრისა შესრულებულ იქნება მოსაგებელით ამა ტაძრისა. როგორც ტაძრის, ისე კანკელის მხატვრობა ქართულ გეგმაზეა შემდგარი. კომიტეტი იმუშავებს მათ უმაღლესობის დიდი მთავრის პეტრე ნიკოლოზისძის ხელმძღვანელობით. კომიტეტის შემადგენლობა უკვე გვქონდა ჩვენს გაზეთში აღნიშნული.

◆ **ხარფუხის კლუბის** მამასახლისთა საბჭომ მუდმივ წარმოდგენების გასამართავად კვირაში ერთხელ მოიწვია ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასი. მონაწილეობას მიიღებენ ქქ. ტ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ბბ. აბაშიძე, გუნია და სხვ.

◆ **მაჰმადიანთა საქველმოქმედო** საზოგადოების გამგეობამ ომში დაზარალებულ მაჰმადიანთა ოჯახების სასარგებლოდ გუშინ მთელ თბილისში ყულაბებით ფული შეაგროვა. სავაჭრო ფარდულებში მაჰმადიანთა ქალები ბეჯითად იწვევდენ მსურველთ და ქუჩებშიც ხალისიანად ატარებდენ ყულაბებს. ამინდმაც ხელი შეუწყო, ასე რომ შემოსავალი გვარიანი დარჩება.

◆ **„ღალატი“ სახაზინო თეატრში** ალ. სუმბათაშვილის მონაწილეობით და ხელმძღვანელობით დღეს ხელმეორედ იქნება დადგმული.

◆ **სასწავლებლებში.** ვაჟთა მეორე გიმნაზიაში მოსამზადებელ, საშუალო და 1 კლასებში მისაღები გამოცდა დანიშნულია 24 და 26 მაისს. თხოვნების მიღება 18 მაისამდე შეიძლება.

— რეალურ სასწავლებელში მისაღები გამოცდა დაიწყება 23 მაისიდან. თხოვნები 20 მაისამდე იქნება მიღებული. დაწვრილებით გამოცდის დღეების ცნობებს სასწავლებლის შენობაში მიიღებს მსურველი.

— ვაჟთა მეორე საკომერციო სასწავლებელი წელს 32 მოწაფემ დაამთავრა მათ შორის 5 ქართველმა: ლ. ქვანიამ, დ. ქარსელიშვილმა, ა. მაისურაძემ, გ. მეგალიშვილმა, ა. ხუციშვილმა და ა. იაკობაშვილმა.

— ტერ-სტეფანოვის საბუჰგალტრო კურსებზე წელს ოთხმა ქართველმა დაამთავრა კურსი: ზ. კებელავამ (პირველი ხარისხით) ლ. ჯეჯელავამ, მ. კიკნაძემ და ე. კობიაშვილმა.

◆ **ობოლთა მოსამართლის არჩევა.** ამ დღეებში ქალაქის საბჭომ უნდა აირჩიოს ობოლთა მოსამართლე ნაცვლად მ. ა. სულიევისა, რომელსაც სამსახურის ვადა შეუსრულდა. კანდიდატად ამ თანამდებობაზე ისევ ბ-ნ სულიევს ასახელებენ.

◆ **ქართულ დრამატ. საზოგადოების** გამგეობა დიდ სამზადისშია არა ჩვეულებრივ კრების მოსაწყობად. კრების თადარიგი უკვე შემუშავდა. კრება ხვალ საღამოს $8^1/_2$ საათზე დაიწყება ახალ კლუბის ზამთრის დარბაზში. კრებას გახსნის დრამატ. საზოგადოების თავმჯდომარე და შემდეგ კრების თავმჯდომარის ადგილს დაუთმობს ჩვენ სასიქადულო მამულიშვილს და ამ საზოგადოების საპატიო წევრს ბ-ნ ალ. ი. სუმბათაშვილს, რომელსაც სიტყვით მიმართავს. შემდეგ ქართველ არტისტების მხრივ სიტყვით მიმართავს ერთ ერთი დამსახურებული მსახიობი ქართულ სცენისა. შემდეგ ბ-ნი ალ. სუმბათაშვილი წარმოსთქვამს საპასუხო სიტყვას თეატრის მნიშვნელობის შესახებ. შემდეგ დაიწყება კრება, რომელიც ღამის 11 საათამდე გაგრძელდება. კრების შემდეგ ახალ კლუბის ბაღში ზეითა ფარდულში ბ-ნ სუმბათაშვილის პატივსაცემათ გაიმართება საზეიმო ვახშამი დაახლოვებით 100 სულის მონაწილეობით. ვისაც სურს ვახშამზე მონაწილეობა მიიღოს დღეიდანვე უნდა ჩაეწეროს „ახალ კლუბის“ კანტორაში.

**ბაქო.**

ბ-ნ ა. ხოშტარიას მიერ სპარსეთში აღებული ნავთის კონცესია ბაქოს ნავთის ქართველ მრეწველთა ამხანაგობას გადაეცა საწარმოებლად. ამხანაგობას ეწოდება „რუპენტო“. ამხანაგობის დამფუძნებლები არიან: ბ-ნი ა. ხოშტარია (თავმჯდომარე), ბ-ნი მამულაიშვილი (ხაზინადარი), ბ-ნი ჯაყელი (თავმჯდომარის ამხანაგი), ბ-ნი კვიტაშვილი (მდივანი), ბ-ნი დადიანი და ბ-ნი იოსელიანი. დაწვრილებით ხვალ.

**წნორის წყალი** (ქიზიყი).

სადგურ წნორის წყალზე ჭუნცაძის ნავთის საწყობს რამდენიმე შეიარაღებული დაეცა და ფული მოსთხოვეს. ფეით პატრონი საწყობში არ იყო. მისი მოურავი გაჩხრიკეს, მაგრამ არაფერი აღმოაჩნდა. ყაჩაღებმა შიშველი კაცი თან გაიტაცეს, არ იციან სად.

**ხ. ზრომა,** (სიღ. მ.)

10 მაისს, საღამოს 9 საათზე დაუშინა სეტყვა, რომელმაც 15 წუთს გასტანა; ჩიტის კვერცხების ტოლას ისვრიდა, როგორც ბაღები ისე ქირნახულიც დაზიანა.

**კაბალი,** (სიღ. მაზ.)

კვირა არ გავა, რომ არავინ გაძარცვონ; 10 მაისს, ღამე ხუთი ყაჩაღი, „ბერდანის“ სისტემის თოფებით შეიარაღებულნი თავს დაეცა ადგილობრივ ვაჭარ ზაქარია ჯიოშვილს; ხუთივე მუსულმანი ყოფილა; ერთ მათგანს დუქნის პატრონის ცოლისთვის წაუჭერია ყელში დანარჩენებს კი უწყალოდ დაუწყიათ ცემა ჯიოშვილისთვის; შიშისაგან თავ-ზარ დაცემულთ ყვირილი მაინც მოუხერხებიათ; ყვირილზე მოცვენილან მეზობლები; ყაჩაღები გაქცეულან. ადგილობრივი პოლიცია სუსტია ყაჩაღებთან ბრძოლაში.

**ალგულადი,** (თბილ. მ.)

10 მაისს სეტყვა მოვიდა დაბის ახლო მახლო სოფლებში, ყანები და ხილეულობა წაახდინა. ყანები წელს ისედაც ცუდი იყო, რადგანაც თითქმის ყოველ დღე გამუდმებით წვიმს.

— დაბაში ყოველგვარი სანოვაგე გაძვირებულია. არ იშოვნება შაქარი და ხშირად პურიც. აქ უმეტესი ნაწილი ვაჭრებისა სომხებია და სანოვაგის ფასს ყოველ დღე თავის ნებაზე უმატებენ. ყურადღებას კი არავინ აქცევს.

— აქ თბილისიდან მოაგარაკეები თანდათან მოდიან. დაბას უკვე სიცოცხლე ეტყობა. სეირნობა იწყება. სახელმწიფო ბაღებში უბილეთოთ არავის უშვებენ. სახლების ფასმა საგრძნობლად აიწია.

— ამ კუთხეში ბევრი საყურადღებო ნაშთებია, რომელსაც დღემდის ყურადღებას არავინ აქცევს. ბევრს ნანგრევებში ძვირფასი ჩუქურთმები ობლად გამოიცქირება, მაგრამ მას ვერაგულად ეპყრობიან და ხშირად ბინძურ შენობებისათვისაც ხმარობენ.

**ს. ბაკურციხე** (კახეთი).

შარა გზის ქვემოდ, ბაკურციხის ბოლოზე მოვიდა სეტყვა და ვენახები გააფუჭა, მოსავალი განახევრებულია. ამბობენ, ქიზიყისკენ უარესობა იყოო, მხოლოდ ბაკურციხის ზეით (თელავისკენ) სულ არ ყოფილა. წვიმებმა იკლო.

— ჩალაუბანის პოსტის უფროსი მატარებლით მოტანილ კერძო წერილებს და გაზეთებს აღარ ღებულობს, ხალხი უკმაყოფილოა.

**დ. ჩოხატაური**

სამშაბათს, მაისის 10 გარდხდილ იქმნა ირ. ევდოშვილის პანაშვიდი,

— ხუთშაბათს, 12 მაისს მიხ. ხერხეულიძემ გამართა **შიო მღვიმელის** სახელობის საბავშვო საღამო შემდეგის პროგრამით: 1) მოხსენება მიხ. ხერხეულიძისა—„შიო მღვიმელი“; 2) ბავშვებმა წაიკითხეს შიოს ლექსები; 3) წარმოადგინეს საბავშვო ვოდევილი—„მდგმური“; 4) წაიკითხეს მისალოცი ლექსები და 5) ბავშთა გუნდმა შეასრულა ქართული სიმღერები. საღამოს ბევრი ხალხი დაესწრო. ნაღდი შემოსავალი 33 მ. 40 კ. გადაიდო საბავშვო კითხვებისათვის ბუნდოვანი სურათების შესაძენად.

## იროდიონ ევდოშვილს

ბედს ემდუროდი, თან შესჩიოდი,
თუ რისთვის იყო გულ-ქვა ზვიადი,
რად არ გწყალობდა ჭაბუკს უბადლოს;
რომ შენც გენახნა ცით განთიადი!

—

სოფელიც იყო დაუნდობელი,
თავს რომ დაგადგა, მუდმივ გზირადა,
არ მოგცა ნება გულის წადილის,
ერთხელ გემღერნა შენთვის ტკბილადა.

—

მრავალ ტანჯვათა ნაწრთობი გული
სევდას მოეცო მთლად დაეჩრდილა,
უკვე აგვსოდა თმობის ფიალი,
რომ შენ ბედზედვე შენ დაგეტირა.

—

წარსტაცე ხელი დროშას ძმობისას,
ტკბილად დასძახე: „ძმებო წინ, წინა,„
კმარა უზომო დუმილი მწარედ
რაც გარდვიტანეთ გუშინისწინა!

მხნედ ჩასძახოდი, [illegible] აცნობდი,
ძმებო [illegible] მტერიო,
ან [illegible],
ანუ სიკვდილზედ გვიდგას ჯერიო,

—

ეს ის დრო იყო, როდეს მისხლობით,
სწონავდი სიკვდილს და სიცოცხლესა,
მწარედა ჰგმობდი უგვანო ყოფნას,
წესებს უსირცხვოს და გამყიდველსა.

—

ამ დროსა ჰქსოვდა ეგ შენი ჩანგი,
ძმობას, ერთობას და სიყვარულსა,
აწმყოში ბრძოლას მომავლისათვის
ტკბილსა სიამეს და სიხარულსა.

—

გსურდა გენახნა შენი სამშობლო
ედემის გვარად აყვავებული,
მრავალთა ჟამთა ტანჯული ერი
უმანკო შრომით გახარებული.

**გიორგი ქიზიყელი.**

# ამიერ კავკ. კოოპერატივთა კავშირის დამფუძ. კრება

**14 მაისი.**

კრება დაიწყო ქალაქის საბჭოს დარბაზში დილის 10 საათ. 30 წ. საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარედ იყო მ. ნ. ვესელოზოროვი, რომელმაც შესაფერისი მისალმების შემდეგ წინადადება მისცა კრებას აირჩია პრეზიდიუმი. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ-ნი ნ. ელიავა, თავმჯდომარის ამხანაგებად—ბ-ნი პ. გელეიშვილი და ბ-ნი შხიანცი, ხოლო მდივნებად—ბ. ქარუმიძე, გრ. ურატაძე, ბ-ნი ტრუნოვი და ბ-ნი ოჰანესიანცი.

**კავშირის შემადგენლობა.**

კავშირში მონაწილეობა მიუღია 130 კოოპერატივს. კრებას დაესწრო მათგან არჩეული 156 რწმუნებული. ამ რიცხვიდან ქუთაისის გუბერნიის 77 კოოპერატივს გამოუგზავნია 96 რწმუნებული, თბილისის გუბერნიის 38 კოოპერატივს გამოუგზავნია 45 რწმუნებული, ბათომის 4 კოოპერატივს გამოუგზავნია 2 რწმუნებული, ერევნის გუბერნიის 8 კოოპერატივს გამოუგზავნია 10 რწმუნებული, განჯის გუბერნიის 3 კოოპერატივს გამოუგზავნია 3 რწმუნებული და ბაქოს გუბერნიის 1 კოოპერატივს არავინ არ გამოუგზავნია.

კრებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს მოსკოვის საკოოპერაციო კავშირის წარმომადგენელმა **მ. გ. უიტნიცკიმ** და მოსკოვის სახალხო ბანკის წარმომადგენელმა **რ. ფ. რენინგმა**. აგრეთვე მოკლე სიტყვებით მიესალმენ კავშირს: ქალაქის გამგეობის წევრი **მ. ა. ჯაბარი,** ქალაქის თვითმართველობის სახელით, ნ. მ. კუზნეცოვი თბილისის სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოების სახელით, ა. ვ. გრიგოლია—კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სახელით და ბ-ნი ვ. როხლინი საორგანიზაციო ბიუროს სახელით.

საორგანიზაციო ბიურომ შემდეგი წეს-რიგი წარმოუდგინა კრებას: 1) კავშირის წესდების გაცნობა, 2) ზედამხედველ საბჭოსათვის ინსტრუქციის შემუშავება, 3) კულტურული მუშაობა კავშირისა, 4) მოსკოვის საკოოპერაციო კავშირში წევრად შესვლა, 5) მოსკოვის სახალხო ბანკში წევრად ჩაწერა, 6) განხილვა და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა, 7) არჩევნები ზედამხედველ საბჭოს 7 წევრისა, მათი 3 კანდიდატისა და კავშირის 2 გამგისა.

**კავშირის წესდება**

ეს წესდება დამტკიცებულია მეფის ნაცვლის თანაშემწის თავ. ვ. არლოვის მიერ 1916 წლის 8 თებერვალს.

საორგანიზაციო ბიუროს სახელით ბ-ნი **კ. კანდელაკი** აცხადებს, რომ ეს წესდება, როგორც ნაჩქარევად შედგენილი, არ შეესაბამება ამიერ კავკასიის კოოპერატივთა მოთხოვნილებებს, ამიტომ საჭიროა მისი უმთავრესი მუხლების შეცვლა.

წინადადებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ზოგნი ამტკიცებდნენ, საჭიროა წესდება ეხლავე წავიკითხოთ და საჭირო ცვლილებები ეხლავე აღინიშნოსო. ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ ასეთ მრავალ რიცხოვან კრებაში არ შეიძლება წესდების შემუშავებაო, რადგან კამათს ბოლო არ მოეღება და ამიტომ უმჯობესი იქნება საგანგებო კომისიას მიენდოს ამ საქმის გაკეთება. ზოგნი კიდევ ურჩევდნენ კრების ზედამხედველ საბჭოს მივანდოთ ეს საქმე და განზრახული დირექტივები მივსცეთო. ბოლოს კრებამ შეიწყნარა ბ-ნ კ. კანდელაკის წინადადება, რომ ზედამხედველ საბჭოს მიენდოს მიიწვიოს მცოდნე პირები და თავის შეხედულობის მიხედვით შეიტანოს საჭირო ცვლილება წესდებაში და ეს შესწორებული წესდება განსახილველად წარმოუდგინოს კავშირის რწმუნებულთა მომავალ საზოგადო კრებას.

**ინსტრუქცია ზედამხედველ საბჭოსთვის**

ამ ინსტრუქციის პროექტი წაიკითხა საორგანიზაციო ბიუროს სახელით ბ-მა კ. კანდელაკმა. პროექტი გადაეცა წინასწარ განსახილველად საგანგებო კომისიას, რომელსაც დაევალა საღამოსვე წარედგინა იგი კრებისთვის. კომისიაში აირჩიეს: შ. გოგებაშვილი, მ. ტრუნოვი, კ. კანდელაკი, მხშჩიანცი, იზატიანცი, არდიშვილი და ს. დადიანი.

**კულტურული მუშაობა კავშირისა.**

საორგანიზაციო ბიუროს სახელით ვრცლად განმარტებულ და აღნუსხულ იქმნა ის კულტურული ღონისძიებანი, რომელნიც საჭირონი არიან ჩვენი ქვეყნის წარმატებისათვის და რომელნიც კავშირის მიერ მიღებულ უნდა იქმნას. ბიუროს საჭიროდ მიაჩნია: 1) კავშირმა იკისროს კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ ადგილობრივ ენებზე ლექციები და საუბრები გამართოს სხვა და სხვა ადგილას; 2) კოოპერატივების საზოგადო კრებებზე კავშირის წარმომადგენელნი დაესწრან და აგიტაცია გასწიონ, რათა კულტურულ საქმეების სასარგებლოდ ხარჯი იყვეს გაღებული 3) კავშირმა ხელი უნდა შეუწყოს კოოპერატივებთან ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების გახსნას; 4) კავშირი უნდა მეცადინეობდეს კოოპერატიული ლიტერატურის ზრდას ადგილობრივ ენებზე; 5) ეცადოს კავშირმა მოწყობილ იქმნას კოოპერატივებთან წიგნების საწყობი; 6) მოაწყოს კოოპერატივებთან კურსები კოოპერაციის შესასწავლად; 7) კავშირი უნდა ეცადოს, რომ კოოპერატივების საქმის წარმოება და ანგარიშები ადგილობრივ ენებზე სწარმოებდეს და სხ.

ეს მოხსენება კრებამ მხედველობაში მიიღო.

**მოსკოვის კოოპერატივთა კავშირში ჩაწერა.**

თანახმად საორგანიზაციო ბიუროს წინადადებისა კრებამ დაადგინა დაუყოვნებლივ ჩაეწეროს აღნიშნულ კავშირში წევრად და საპაიო გადასახადი წარადგინოს.

**მოსკოვის სახალხო ბანკში ჩაწერა.**

კრებამ, მოისმინა საორგანიზაციო ბიუროს მოხსენება შესახებ წევრად შესვლისა მოსკოვის სახალხო ბანკში და დაადგინა: დაუყოვნებლივ შეიძინოს 2 აქცია ხსენებული ბანკისა და შემდეგისათვის დაევალოს ზედამხედველ საბჭოს შეიძინოს კიდევ არა ნაკლებ 8 აქციისა.

**საღამოს კრება.**

**სახელმძღვანელო ინსტრუქცია ზედამხედველ საბჭოსთვის**

კრება განახლდა საღამოს 7 საათ. 50 წუთ. „საინსტრუქციო“ კომისიის თავმჯდომარემ **კ. კანდელაკმა** განაცხადა: ასე მცირე ხნის განმავლობაში შეუძლებელი გახდა ინსტრუქციის პროექტის შესწორება. მეორე მხრივ ამ პროექტს ბევრი ნაკლი აქვს და მისი სამუდამოდ დატოვება საბჭოს სახელმძღვანელოდ შეუძლებელია. ამიტომ უნდა დაევალოს ზედამხედველ საბჭოს თითონვე შეიმუშავოს ინსტრუქციის პროექტი და მომავალ საზოგადო კრებას წარმოუდგინოს განსახილველად.

ეს წინადადება ერთხმად მიიღეს.

**ხარჯთ-აღრიცხვა 1916 წლისა**

**ბ-ნმა როხლინმა** საორგანიზაციო ბიუროს სახელით ვრცელი მოხსენება წაუმძღვარა 1916 წლის ხარჯთ-აღრიცხვას. მოხსენებაში დაწვრილებით არის განმარტებული თანამედროვე კრიზისი ალებ-მიცემობაში და დიდი გასაჭირი საქონლის შოვნისა. წინად თუ საკმარისი იყო ცოტაოდენი ბე და დიდი თანხის გძელ-ვადიანი ვექსილები საქონლის გამოსატანად, ამ ჟამად ნაღდ ფულზედაც დიდის გასაჭირით იშოვება საქონელი. წინად კომი-ვოიაჟორები (ფირმების წარმომადგენელნი) მოსვენებას არ აძლევდნენ მოვაჭრეთ, ძალად აჩეჩებდნენ საქონელს ხელში; ეხლა-კი ვინ არის შემომხვეწი—ჩემი საქონელი წაიღეთო, პირიქით ვაჭარმა თითონ უნდა იაროს სხვა და სხვა ქალაქებში საქონლისათვის და ხარჯები გასწიოს. ასეთ პირობებში კავშირის ხელმძღვანელნი თუ ფხიზლად არ იქნენ და დიდი მუყაითობა და უნარი არ გამოიჩინეს, კავშირს გაუძნელდება მუშაობა. ეს საკვირველიც არ არის, ვინაიდგან კავშირისათვის დიდი თანხაა საჭირო, ხოლო საწევრო გადასახადი-კი საჭიროების მცირე ნაწილსაც ვერ დააკმაყოფილებს. გარდა ამისა კავკასიაში არ მოიპოვება საკოოპერაციო ბანკი და მოსკოვის სახალხო ბანკის იმედიც არ უნდა გვქონდეს ჯერ-ჯერობით.

საქმის ასეთ მდგომარეობის გამო საორგანიზაციო ბიუროს ჯერ-ჯერობით უაღრეს საშუალებათ ის მიაჩნია, რომ კავშირმა კრედიტი გაიხსნას კერძო საკომერციო ბანკებში საქონლის დაგირავებით. გარდა ამისა ბიურო საჭიროდ სთვლის კავშირი პირობით შეეკრას მოსკოვის მომხმარებელთა კავშირს და იმის გამსაღებელ განყოფილებათ და ამ საშუალებით რამდენიმედ გაიადვილოს საქონლის მოპოება.

ხარჯთ-აღრიცხვის ვარაუდი, მოხსენების მიხედვით, დამყარებული უნდა იყვეს იმ იმედზე, რომ კავშირი წლის განმავლობაში გადაატრიალებს 2 მილიონ მანეთს. ეს თანხა დიდი არ არის, თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმ გარემოებას, რომ მხოლოდ თბილისის კოოპერატივებიც-კი ამდენსავე თანხას ატრიალებენ წლიურად. ამ თანხის წლიური პროცენტი (1 მილიონ მანეთზე 3% საწყობების ქირა და 1 მილიონ მანეთზე 1% საკომისიო ოპერაციისა) 40.000 მანეთს შეადგენს საერთოდ.

ხარჯის გასტუმრებას ამ შამოსვლით აპირებს ბიურო. შემდეგი აუცილებელი ხარჯია აღნიშნული ხარჯთ-აღრიცხვაში:

კავშირის 2 არჩეულ გამგეს წლიურად (თითოს 1.800 მან.) 3.600 მან., საქონლის განყოფილების დაქირავებულ გამგეს 2.500 მან., 2 ინსტრუქტორს (თითოს 1.500 მან. წლიურად) 3.000 მან., ზედამხედველ საბჭოს მოგზაურობის ხარჯად 500 მან., ბინის ქირა კანცელარიისა დ საწყობებისთვის 2.400 მან., სავაჭრო უფლების ქაღალდები, გათბობა, განათება და ტელეფონი 1.150 მან., საწყობის გამგეს 1.200 მან., მის თანაშემწეს 900 მან., 2 ნოქარს (თითოს 600 მან.) 1.200 მან., 2 საქონლის ჩამწყობს 960 მან., მუშებს 1.480 მან., კამისიონერს 600 მან., ბუჰგალტერს 1.800 მან., მის თანაშემწეს 900 მან., მოანგარიშეთ 1.200 მან., მდივანს 1.200 მან., მდივნის თანაშემწეს 960 მან., ფოსტა-ტელეგრაფი, ბლანკები, ანგარიშების დაბეჭდვა და სხ. 1.500 მან., კულტურულ-განმანათლებელ საქმეებს 3.000 მან., მოულოდნელი ხარჯები 1.770 და სხვა.

მთელი ჯამი ხარჯებისა ხარჯთ-აღრიცხვით უდრის 33.600 მან.

ამ ანგარიშის განხილვამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ზოგი ორატორები ამტკიცებდნენ, რომ 2 გამგე კავშირასათვის ცოტაა, ვერ გასწვდებიან საქმეს და სჯობიან ზედმეტი გამგე ავირჩიოთო, ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ 2 ინსტრუქტორი ვერ აუა საქმეებს და 4 თუ არა, 3 მაინც ვიყოლიოთო. ინსტრუქტორების რიცხვის მომატებას იმით ასაბუთებდნენ, რომ ყველა კოოპერატივში ერთნიირი საქმის წარმოება და ანგარიშები უნდა შემოვიღოთ, გარდა ამისა ინსტრუქტორებმა ლექციები უნდა გამართონ კურსები მოაწყონ და სხ. და 2 კაცის მხრივ ყოველივე ამის გაკეთება შეუძლებელია, ამიტომ თვით კოოპერატივების პირდაპირი ანგარიში მოითხოვს, რომ თითო თუმანი ზედმეტი გაიღონ, რათა ინსტრუქტორების საკმაო რიცხვი დარჩესო. სასყიდლის შესახებ ბევრი ორატორები ამტკიცებდნენ, რომ მომეტებული ჯამაგირები უნდა დაენიშნოთ. როგორც არჩეულ თანამდებობის პირთ, აგრეთვე დაქირავებულებს, რათა საქმის მცოდნე და უნარის პატრონი კაცები მოვიდნენ ჩვენთანო.

ბოლოს ხარჯთ აღრიცხვის პროექტი შეწყნარებულ იქმნა იმ შესწორებით, რომ მდივანს მოუმატეს ჯამაგირი წლიურად 300 მან. და გაუხადეს 1500 მან. და საქონლის ჩამომწყობლებს დაენიშნათ 960 მან. ნაცვლად 1000 მ. ამ რიგად ხარჯების ჯამი უდრის 33,940 მანეთს.

კრება გადაიდვა შემდეგი დღისათვის.

## ირ. ევდოშვილის გარდაცვალების გამო

**ს. ჯუგაანი**, (ქვემო ქიზიყი). მაისის 10-ს ადგილობრივმა მღვდელმა ი. შანშიაშვილმა ადგილობრივ ტაძარში, მოუწოდა ჯუგაანელთ და პანაშვიდი გადაიხადა იროდიონ ევდოშვილის სულის მოსახსენებლად. მღვდელმა მიჰმართა დამსწრეთ: „ჯუგაანელებო! ზნეობა გვავალებს პირველად და უკანასკნელად მოვიხსენიოთ და ამბორი უყოთ ქიზიყის შვილს—სიამაყეს—იროდიონ ევდოშვილს და დასამტკიცებლად მისდამი თანაგრძნობისა ნუ დავზოგავთ მცირე შეწირულებას მისი სიკვდილის დღის გულში ჩასაბეჭდავად.

პანაშვიდზე დამსწრეთ შემოსწირეს თითო მანეთი: მღვ. ილია შანშიაშვილმა, ელენე შანშიაშვილმა, მასწ. მართა ჭუჭულოვმა, მასწ. რ. კიკალიშვილმა, კ. ალადაშვილმა, ლიმონა ზედგულაშვილმა, ზურაბი ზედელაშვილმა, მიხო მატიაშვილმა შესწირა 1 მან. და 50 კაპ., დანარჩენებმა ათ-ათი შაური: მღვ. ქოქთაშელმა, მიხეილ კიკილაშვილმა, სტეფანე ზედელაშვილმა, ილია ქურციკიძემ, ილო გოგაშვილმა, ნიკა ალადაშვილმა, შაქრო აბულაშვილმა, გიორგი ელაშვილმა, ვანო მათეშვილმა. სულ ცამეტი მანეთი.

ზემოხსენებული პირნი სთხოვენ რედაქციას, ეს ფული გადაეცეს იროდიონ ევდოშვილის დაობლებულ ოჯახს.

**მღვ. ი. შანშიაშვილი.**

—

## შემოწირულება

ერთი თუმანი პლატონ რატიანმა. ხუთ-ხუთი მანეთი: ნიკოლოზ და ოლღა ჭრელაშვილებმა, სვიმონ ცივაძემ, ვიკტორ ანჯაფარიძემ მეუღლით. სამ-სამი მანეთი: პეტრე და თამარ ხუმარაძეებმა ვახტანგ და თამარ კოდანაშვილებმა, ნინო პანტელოვისამ, სოლომონ ნასიძემ, მიხეილ და ელისაბედ დარჩიაშვილმა. ორ-ორი მანეთი: ზაქარია თოიძემ, მაქსიმე ჩახავამ, ალექსანდრე ჩახავამ, მალხაზი სიმონიამ, მიხეილ ემჩინოვმა, პავლე ბაქრაძემ, სარქის ამირბეგიანცმა, გიორგი აბრამაშვილმა, ივანე სვანიშვილმა. თითო მანეთი: ნიკიფორე ხომასურიძემ, ხომასურიძე ვასილიმ, მასაშანია გიორგიმ, შატბერაშვილმა ნიკოლოზმა, ილინიშვილმა დავითმა, შოოაძე ვასილიმ, ცოფურიშვილმა საშამ, მანუჩარაშვილი სანდ., ექიმ ექვთ. ვაშაკიძემ, ალიმაბერაშვილმა სოფიომ, ლოლაძე ბარბარემ, ნადიმაშვილმა შაქრომ, ვარამბელმა ივანემ. ათათიშაური: ჯაფარაშვილმა ვასილმა, ლოლაძემ სანდრომ. სულ 73 მანეთი.

მონდობილობით **ნ. ჭრელაშვილი.**

—

იროდიონ ევდოშვილის გვირგვინის ნაცვლად გაახლებთ ჩვენს წვლილს:

მიხეილ ბაშარული 25 მ. ნიკო ბარათაშვილი 10 მ. დავით ახმეტელიშვილი 25 მ. ალ. ხარისჩაროვი 15 მ. მიხ. აკოფაშვილი 5 მან. მ. დ. კიკნაძე (Новая Рѣчь) 20 მ.

—

ირ. ევდოშვილის ოჯახის სასარგებლოდ ქუთაისიდან მთავრიშვილის და ამხ. მალაზიის სახელით მივიღეთ 10 მან.

## აჭარაში მოგზაურთა საყურადღებოდ

ქ-ნი სოფიო (სონა) ეპიტაშვილი ქუთაისიდან ორ ჩემს მეგობარს წერილებით აძლევს სხვა და სხვა კითხვებს, რომლებიც შეეხებიან აჭარაში მოგზაურობას (ექსკურსიას). ორივე წერილი ერთი და იგივე შინაარსის არის, ორივე ჩემს ხელთ არის და რადგან ეს კითხვა იქნებ სხვებსაც გამოადგეს, ამიტომ გადავწყვიტე ქ-ნ ს. ეპიტაშვილს გაზეთით გავცე პასუხი. მე აქ არ შევეხები ჭანეთ-ლაზისტან-შავშეთიმერხევს, არამედ შევეხები მხოლოდ აჭარას.

მთელ აჭარას სერავს სამი ხეობა: ჭოროხის, მაჭახლის და აჭარის წყლის. ორ ხეობას—ჭოროხსა და აჭარის წყალს მისდევს საეტლო გზატკეცილი. ორივე ხეობის გზა იწყება ბათუმიდან. კერძო ომნიბუსები (დილიჟანსი), ლინეიკები და ეტლი გადის ყოველ დილით 7—8 საათზე ართვინის მოედნიდან (პეტროგრადის ქუჩა, ელექტრონის სადგურის პირდაპირ). საფოსტო ეტლის („რესორიანი პერეკლადნოი“) გამოწერა შეიძლება მხოლოდ აჭარის წყლის ხეობისაკენ[1]). არც კერძო ეტლი და არც საფოსტო, შედარებით რომ ვთქვათ, ძვირფასი არ არის. მაგალითად ბათომიდან ქედამდი (38 ვერსია) ერთი ადგილი ომნიბუსში ღირს 1 მან. 50 კაპ., ეტლში 2 მან., საფოსტო ეტლით კი ორი ადგილი (ორი ცხენი) 4 მან. 3 კ., კერძო (საკუთრათ დაქირავებული) ეტლი კი ძლიერ ძვირად ღირს. ქედამდმი 4 კაცს 20 მან. მაინც გამოართმევენ.

ბათომიდან მეთექვსმეტე ვერსზე სახელდობრ აჭარის წყალზე (სადგური და პატარა დაბაა) საეტლო გზა ორათ იყოფა: ერთი მისდევს ჭოროხს და მიდის ართვინ არდაღანისაკენ, მეორე კი აყვება აჭარის წყალს (მდინარეს), ავა ქედაში, ხიჭაურში, ხულოში და გადავა ახალციხეში. ბათომიდან ხულომდე არის 82 ვერსი, ართვინამდე კი 92.

ამ ორ საბოლოო სადგურამდე მისვლელს აჭარა (გარდა მაჭახლის ხეობისა) საყველპუროდ დათვალიერებული ექნება (ცხადია გზის პირიდან). ექსკურსანტებს ვურჩევ აჭარის წყლამდე ავიდნენ ეტლით, მერმე კი შეუყვნენ ფეხით ართვინის გზატკეცილს. ომის საშინლების შედეგს ყველაზე მეტად ნახავს ჭოროხისა და მაჭახლის ხეობაში. აჭარის წყლიდან მე-9-ე ვერსზე არის (უფრო იყო) მშვენიერი სოფელი მარადიდი (მარან-დიდი), მე-27 კი დაბა ბორჩხა. ბორჩხიდან შეიძლება ასვლა მურღულის ხეობაში, ძანსულის სპილენძის მაღარო-ქარხანაში. (ბორჩხიდან მგონი 18 ვერსის მეტი არ უნდა იყოს) საეტლო გზა ძანსულშიაც მიდის (ჭოროხზე ბორანით გადიან). მურღულიდან ოსმალეთის საზღვარი ახლოს არის. ართვინში წამსვლელი უმთავრეს გზატკეცილს შეუყვება გაივლის ქათიბ-ხანს და ავა ქ. ართვინში.

მოისობას (აქეთობისას) მოგზაურს შეუძლია შეუყვეს მაჭახლის პირს (აჭარის წყლიდან მე-4ე ვერსზეა ართვინის გზით) და მოიაროს მთელი ეს მშვენიერება და მომხიბლავი ხეობა. გზატკეცილიდან მდინარის გაღმა გამოღმა სოფლები 16 ვერსის მანძილზე სულ გადაბუგულია. პირველი სოფელი, რომელიც სასწაულებრივ გადაურჩენია „კამანდირ“ ბ-ნ მგალობლიშვილს არის ჩხუტუნეთი. ამ სოფელში ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სკოლაა და კარის კაცობას გარდა მასწავლებლისა სიამოვნებით იკისრებს მამასახლისი კახიძე, მწერალი მახარაძე და ადგილობრივი მცხოვრები მემლუდ-აღა მალაყმაძე.

ამ ხეობაში არის საცხენოსნო გზა. ჩხუტუნეთიდან გირჩევთ ინახულოთ ისტორიული სოფელი ხერთვისი და თუ კი არ დაიზარებთ ცოტა ზევით ეფრატი და აკრია. ესენი ორივე მთის სოფლებია და ძლიერ მშვენიერიც. უკან დაბრუნებული ისევ ხერთვის დიდ ჯამესთან უნდა მოვიდეს, აქედან კი ფეხით გინდ ცხენით შეიძლება გადალახო მთა და 5—6 საათის სიარულის შემდეგ გადახვიდე ქედაში. ან დაბრუნდე ისევ უკან, ჩახვიდე აჭარის წყალზე, გამოიწერო ეტლი და მითი აბრძანდე ქედაში (აჭარის წყლიდან 22 ვერსი). გზაზე ნახავ სოფ. მახუნცეთს; საცა სამინისტრო სკოლაა, ცხოვრობს სტუმართ მოყვარე ოსმან ბეგი თავდგირიძე, აქვეა ყურადღების ღირსი თამარის ხიდი (კამარა შეკრული) და ჩანჩქერი. ქედა ქვედა აჭარის ცენტრია, აქ არის დაბა, ორკლასიანი სკოლა, დიდი ჯამე, იქვე სცხოვრობს ქვედა აჭარის ნაწილის უფროსი, არის ორი (ქედისა და ცხმორისის) სოფლის სამმართველო. აქ გზის ჩვენება და სტუმრის მიღება შეუძლია: მამასახლისი ბეგი ბეჟანიძე, შუქრი ეფენდი ჩიკვაიძეს, ადგილობრივ ხოჯა ეფენდის, ბ. ბ. მწერლებს ლევარსი და სოლომონ მენაბდეს, ფერშალს ბ-ნ ამბ. გამყრელიძეს და სხვა. ქედიდან მეექვსე ვერსზე ჩრდილოეთით სოფ. აგარაში არის ქარ. საქ. საზ. სკოლა. ეს სოფელიც ღირსია დათვალიერებისა. ამ სოფელშია სტუმართ დიდი მოყვარული ალი-ოსმან აღა დევაძე. აგარიდან შეიძლება ასვლა ბეთლემის ტყეში, რომელსაც დიდათ აქებენ, მაგრამ მე სამწუხაროთ ჯერ არ მინახავს. ქედიდან კარგია სოფ. მერისში ასვლა და იქიდან ისევ ქედაში დაბრუნება. მერისი კარგი და მოზრდილი სოფელია და სამინისტრო სკოლაც აქვს. ქედიდან სად. ხიჭაურამდი (ქედიდან 20 ვერსი) ღირს შესანიშნავი იმდენად არაფერია. ხიჭაურში კი არის კარგა დიდი ძველი ციხე. (ნანგრევი), აქვე გორაზე დააღრჩეს ორი კაცი (მამასახლისი თავდგირიძე და ერთიც სხვა—„ღალატისათვის“). ამ სადგურს ძლიერ ახლოს აკრავს დიდი სოფელი ჭვანა, საცა მთავრობის სკოლაც არის[2]) ჭვანიდან შეიძლება გადაიარო მთა და 6—8 საათის სიარულის შემდეგ გადახვიდე „საგურიელოში“ სახელდობრ გომის აგარაკ „ნაფოცხვარა“-ში, იქიდან კი გურიაში სოფ. შემოქმედში ჩახვიდე. ხიჭაურიდან ხულომდე 23 ვერსია. გზაზე შეგხვდება კიდევ ორი შესანიშნავი ხეობა: შუა ხევი და სხალთა. ამათში ეს უკანასკნელი სხალთა მეტადრე ღირსია ყურადღების ეკლესიის ძველი ნანგრევით და სხვ. გზა-ტკეცილიდან სხალთა 8—10 ვერსზე იქნება. სხალთიდან კარგი იქნება ტბეთის ნახვაც. ხულო ზედა აჭარისათვის იგივეა, რაც ქედა ქვედა აჭარისათვის.

ხულოდან ჩემი რჩევა არის მოგზაურმა გზა-ტკეცილით გაიაროს 4 ვერსტი, შემდეგ პირი იბრუნოს ჩრდილოეთისაკენ, გაიაროს მშვენიერი დიდი სოფელი დიდ აჭარა, მერე ირემაძე და ავიდეს სოფელ ღორჯომში. ღორჯომში დიდებული ჯამეა და შესანიშნავი სოფელიც არის. აქ სტუმარს მიიღებს ყოფილი მამასახლისი იუსუფ-აღა სირაძე—(ცნობილი ალიაღას ვაჟი) ძმებით. ხასან-აღა ირემაძე და სხვები. ღორჯომში მთავრობის სკოლაც არის. ღორჯომიდან აგარაკ ბახმარომდე საცხენოსნო მშვენიერი გზაა და ქვეითი მოგზაური სულ რაღაც 6—8 საათში ბახმაროში ჩავა. ბახმაროდან კი გურიაში (ქ. ოზურგეთში) ზედა აჭარაში მოგზაურს თავის ყურადღებას არ მოაკლებს დიდ აჭარის ახალი მამასახლისი ბ. იუნუსაღა ბოლქვაძე, ყოჩაღი და გამოცდილი ახალგაზრდა, ჩვენი (ქართველების) მეგობარი.

ბინის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ აჭარლები სტუმრის მიღება პატივის ცემაში ქებული არიან.

მთელი სოფელი სტუმრებს დაინაწილებს და შეძლებისა დაგვარად პატივს სცემენ. სანოვაგე სოფლად იშოვება: ყველი, კვერცხი, კარაქი (იაღი) მჭადი და ცივი წყარო. ოჯახში არას გადაახდევინებენ და წასაღებათ მოგყიდიან.

თუ რა დაუჯდება თითო კაცს მოგზაურობა ამაზე პასუხის მოცემა ძნელია, მაგრამ მე ვფიქრობ გარდა რკინის გზისა სამი თუმანი საკმარისი იქნება. საჭიროა თან იქონიოთ: წუღები, საცვლები უთო, ლილა და საპონი. უკანასკნელ კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ქალების მოგზაურობა სახიფათო არ არის, მაგრამ ძნელი კი იქნება. წიგნები თუ რამ გაქვთ დასარიგებელი სჯობს მასწავლებლებს გადასცეთ და მით **პასუხის გება** და ეჭვი თავიდან აიცილოთ.

აჭარაში შესვლის ნებართვას ბათუმს მერეთ აღარ ითხოვენ, მაგრამ რაკი ექსკურსია იქნება **აუცილებლად** უნდა გამოითხოვოთ.

ბათუმში მოსვლამდე კარგს ინებებთ დაათვალიეროთ ქობულეთში (რადგანაც 4—6 ვერსია) სოფ. ხუცუბნის ქართ. საქ. საზ. სკოლა და თვით ბათუმში ყოროლის თავის სკოლა (ორთა ბათუმში).

**აპ. წულაძე.**

P. S. კარგი იქნება ბავშვებისათვის თან იქონიოთ ტკბილეულობა. კარგი იქნება კიდევ ექსკურსიის მონაწილეს თუ ეცოდინება ჩონგური, გითარა მანდალინა და ზედ დამღერებ-დაღიღინება და დასაკრავსაც თან ატარებთ. მოგზაურობის დაწყება ახლაც შეიძლება. საცა ფეხით ივლით ბარგისათვის ცხენს იქირავებთ.

**აპ. წ.**

[1]) ამისი კანტორა შეპელევის ქუჩაზეა, რკ. გზის სადგურის მახლობლად, აღმოსავლეთისაკენ.

[2]) ხუჭაურში მასპინძლობას და გზის კაცობას გასწევს ვაჭარი ემინ-აღა ზოიძე.

## ქართული წირვა-ლოცვა ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში

ილორის ეკლესიაში წირვა-ლოცვა სრულდებოდა უძველესი დროიდან უკანასკნელამდე ქართულად, მაგრამ დღეს ჩვენდა სამწუხაროდ, მარტო კვერექსებს თუ გაიგონებს მლოცველი მთავარ დიაკვანისაგან ქართულად, თორემ დანარჩენი სრულდება რუსულ ენაზე. მ. დიაკვანს თუ სცოდნოდა წირვა რუსულად, ვინ ათქმევინებდა კვერექსებს ქართულად.

ეს ეკლესია 1907 წ. ინახავს თავისი ხარჯით ერთს მასწავლებელს, რომელმაც უნდა ასწავლოს ილორის სამრევლო სკოლაში ქართული ენა და გალობა. უკანასკნელ დრომდი, სანამ ამ ეკლესიას მედგრად ედგა ორი სამღვდელო პირი, ცოტათ თუ ბევრად იყო დაცული ამ ეკლესიაში ქართული წირვა და გალობა. შარშან მაისში ერთი ამ დამცველთაგანი წირვა-ლოცვისა გადაყვანილი იქმნა სოხუმის არქიელისაგან სხვა მრევლში და მის მაგივრად დაინიშნა იმისთანა პირი, რომელსაც ეჯავრება ქართული წირვა-ლოცვა. ეს მ. ბლაღოჩინი უკრძალავს აქაური ეკლესიის ფულით დაქირავებულ რეგენტს—მასწავლებელს იგალობოს ეკლესიაში ქართულად. ამ მოვლენაში, მგონი. ბ-ნ გ. ბურჭულაძეც დაგვეთანხმება, რომელიც შევიდა ამ ეკლესიაში წარსულ დიდს მარხვაში, როდესაც ის დაბრუნდა სოხუმიდან, სადაც იგი იყო გაგზავნილი სარევიზიოდ ქ. წ. კ. გ. ს. სკოლებისა და მოწმე იყო შემდეგი მოვლენისა: უმცროსი მღვდელი მ. ხელაია ქართულად სწირავდა იმ დღეს და ბავშვებისაგან შედგენილი გუნდი კი რუსულად გალობდა. ბ-ნ გ. ბურჭულაძემ მიჰმართა მ. ხელაიას წირვის შემდეგ შემდეგი კითხვით: „რა მოვლენას ვხედავ დღეს თქვენს ეკლესიაში, ნუ თუ ბავშვებმა ქართული გალობა არ იციან?“ მ. ხელაიამ შემდეგი პასუხი გასცა: „ჩვენ მთავრობის გვეშინიან და თუ ვწირავთ, ისიც ფარულად“. მკითხველს იქნება აინტერესებდეს თუ ვინ დადის ამ ეკლესიაში უფრო მეტი—ქართველები თუ რუსები, რომ მართლა საჭირო იყოს რუსულად წირვა არა ქართველთათვის. მაგრამ ამ ეკლესიაში ურიცხვ მლოცველებში თუ ურევია ორი არა ქართველი, რომლებსაც არც ერთი სიტყვა ქართული არ ესმით, დანარჩენი კი ყველა ქართველებია.

როგორც პირად ვიცი, რეგენტი, რომელსაც ჯამაგირს აძლევს ილორის ეკლესია, შესაფერად მცოდნეა ქართული გალობისა და დავსწრებივარ მისი დამზადებულ ბავშვებისაგან შედგენილს გუნდს არა ერთხელ. გუნდს შეუძლიან იგალობოს მთელი წირვის წესი ქართულად, მაგრამ სამწუხარო მოვლენას შეადგენს ის, რომ ამ ეკლესიის ახლად დანიშნული წინამძღვარი—მღვდელი უკრძალავს რეგენტს ადიდოს ეკლესია ქართული გალობით. პირად მე ვიყავი იმისი მოწმე, თუ როგორ ხელს უშლიდა იგი რეგენტს ქართულ გალობაში. ერთი თვის წინად სახელმწიფო უქმი იყო და იმ დღეს ვისურვე მომესმინა წირვა და შემდეგ პარაკლისი ილორის ეკლესიაში. ჩემდა საუბედუროდ, წირვას ვერ მივუსწარი და გავხდი მარტოკა ღირსი პარაკლისის მოსმენისა. პარაკლისი სრულდებოდა რუსულ ენაზე და გუნდიც გალობდა ამ ენაზე. პარაკლისის ბოლოს გუნდმა ისურვა ხელმწიფის საკეთილდღეოდ ეგალობა „მრავალ ჟამიერი“ ქართულად. კიდევაც დაიწყო და არ გაეთავებია პირველი მელოდია, რომ დაიყვირა წინამძღვარ-მღვდელმა: „Не пѣть по грузински“. ამის შემდეგ გუნდმა ძალა უნებლიეთ შეასრულა გალობა რუსულად.

[illegible] ყოველ დღესასწაულზე მრავალი ხალხი ეტანება და ამ დღესაც ეკლესია იყო გაჭედილი ურიცხვი მლოცველებით, რომლებიც შეადგენდნენ მეგრელ-ქართველობას, ჩამოსულნი სალოცავად სხვა და სხვა კუთხიდან. ასეთმა საქციელმა ეკლესიის წინამძღვარისამ დიდი აუღზაური ასტეხა მლოცველებში. ეკითხებოდნენ ერთი-მეორეს. ნუ თუ ილორის ეკლესიაში აკრძალულია ქართული გალობა და წირვა-ლოცვა? განა ეს ჩვენი, ქართველების ეკლესია არ არის? ბოლოს რეგენტს პირად დაეკითხე, რატომ თქვენდამი ბავშვებისაგან დამზადებული გუნდი ქართულად არ გალობს ეკლესიაში? მან მითხრა „ეკლესიის წინამძღვარ-მღვდელი მიკრძალავს გალობას ქართულად, თორემ პირდაპირ მზადა ვიგალობო ქართულად“.

ასეთი მდგომარეობაშია დღეს ჩვენი დიდებული ილორის ეკლესია, შემნახველი სასწაულთ მოქმედ წმ. გიორგის მთავარი ხატის და მრავალი დაუფასებელი ისტორიული განძის. საქართველო ამისთანა ეკლესიას არ ეღირსა თავისი ხარჯით დაქირავებული რეგენტისაგან დაუბრკოლებლად ქართული გალობა.

ჩვენის მხრით ყველა ქართველი მღვდელი, რომელსაც შერჩენია სიყვარული თავისი დედა ენისა, მოვალე უნდა იყოს ხმა ამოიღოს და საყვედური გამოუცხადოს იმისთანა წინამძღვარს, რომელიც სპობს თავის ეკლესიაში ქართულ წირვა-ლოცვას.

**გრ. ქავთარაძე.**

## კიკნა-ფშაველის წიგნის აგენტებს

ამას წინად უკვე ვაუწყეთ პატივცემულ კიკნა-ფშაველის წიგნის აგენტებს გაზეთის საშუალებით, რომ ყოველივე ტეხნიკური საშუალებანი კრებულისა მზად არის. მასალებიც მთლად გადაეცა **დ. კახრაძეს** კრიტიკული წერილისთვის. ზოგიერთმა აგენტებმაც სავსებით გაასწორეს წიგნის ყოველგვარი ანგარიშები: წარმოადგინეს შეგროვილი ფული, დარჩენილი კვიტანციები, ტალონები და სხვა... ქაღალდი თანდათან ძვირდება. ყოველი ზედმეტი დღის დაყოვნება საზარალო არის კრებულისათვის. ამიტომ გთხოვთ რაც შეიძლება მალე გაასწოროთ ანგარიშები.

მისამართი: Тифлисъ, Парковская № 27. Ст. Григорію Зурабовичу Херхеулидзе.

პატივისცემით **მიხ. ხერხეულიძე.**

## შემოწირულება

ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებელ თანხის გასაძლიერებლად კნ. ელის. დავ. ერისთავისამ შესწირა ქართ. კულტ. მოყვ. საზოგადოებას 100 მანეთი.

რედაქციამ მიიღო ქართველ მოღვაწეთა აგარაკის სასარგებლოთ ბ. ივანე დიმიტრის ძე მგელაძისაგან ხუთი (5) მანეთი და ალექსანდრა დავითის ასული ნაცვლიშვილისაგან ერთი (1) მანეთი.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**


საუკეთესო კახური

ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის

ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეძველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.